

ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობა საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში



ნოემბერი, 2021



Institute for Development
of Freedom of Information



kohovolit.eu



Fundacja
ePaństwo

● supported by

● Visegrad Fund



კვლევა მომზადდა და გამოიცა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - *კარგი მმართველობისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ბენეფიციარი მესაკუთრეების დიაოზის სტანდარტების გაუმჯობესება* - ფარგლებში. კვლევის თანაავტორები არიან **KohoVolit.eu (ჩეხეთი და სლოვაკეთი)**, **K-Monitor Public Benefit Association (უნგრეთი)** და **ePanstwo Foundation (პოლონეთი)**.

პროექტი დაფინანსებულია **ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის** მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მისი პარტნიორი ორგანიზაციები, და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

**ბენეფიციარი მესაკუთრების
გამჭვირვალობა საქართველოსა
და ვიშეგრადის ქვეყნებში**

ნოემბერი, 2021

შინაარსი

შესავალი	01
უზრეთი	03
შეჯამება	03
შესავალი	04
კანონმდებლობა	05
პრაქტიკა	11
რეკომენდაციები	14
კოლონეთი	15
შეჯამება	15
შესავალი	16
კანონმდებლობა	18
კონტროლის მექანიზმები. ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალური რეესტრი	21
პრაქტიკა და ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა	27
რეკომენდაციები	29
სლოვაკეთი	30
შეჯამება	30
შესავალი	31
კანონმდებლობა	32
პრაქტიკა	36
ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა	38
რეკომენდაციები	40
გამოყენებული ლიტერატურა	40

ჩხუბი	42
შეჯამება	42
შესავალი	43
კანონმდებლობა	44
პრაქტიკა	47
ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა	50
რეკომენდაციები	51
გამოყენებული ლიტერატურა	51
საქართველო	52
შეჯამება	52
შესავალი	54
სახელმწიფოს მიმდინარე პოლიტიკა ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით	58
გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტასაც მიზნად ისახავს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტები	67
ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვებისა და სხვა აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში	70
ბენეფიციარი საკუთრების სფეროში არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები	74
რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებები	77
გამოყენებული ლიტერატურა	79



მესაკვალ

საკუთრების უფლება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც ნებისმიერი სახის ეკონომიკური ურთიერთობის, ინვესტიციების მოზიდვის, და ზოგადად ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. თუმცა საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ერთი მხრივ, ის არის ფართო საზოგადოებრივი სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმი ასეთი უფლების მატარებელს შესაბამისი ვალდებულებებითაც აღჭურვავს. კერძოდ, ეს უკანასკნელი უნდა მოექცეს ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობის რეგულირების ქვეშ და შეასრულოს შემხვედრი ვალდებულებები სხვა ეკონომიკური ერთეულების, ორგანიზაციების, ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოს მიმართ.

საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ღიაობა. მესამე პირებისთვის, ინვესტორებისთვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკუთრებასთან მიმართებაში არსებული სრული და უტყუარი მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია გარიგებების დადება, სამართლებრივი და ეკონომიკური ქმედებების განხორციელება. საკუთრების უფლების ღიაობის ერთ-ერთი პრაქტიკული გამოხატულებაა უძრავი ქონების რეესტრი და მენარმეთა და არასამენარმეთო იურიდიულ პირთა რეესტრი, რომლის მიმართაც მოქმედებს სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია, რაც მესამე პირებისათვის ნიშნავს შემდეგს, რომ: ინფორმაცია აღნიშნულ რეესტრებში არა მხოლოდ სრულად არის ასახული, არამედ აღნიშნული ინფორმაცია, ასევე, არის სანდო.

საკუთრების უფლებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი წარმომავლობის წყაროები. უძრავი და მოძრავი ნივთების შეძენა ხშირად ხდება კორუფციისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად აკუმულირებული ფინანსური რესურსით. მნიშვნელოვანია სრული, უტყუარი და გადამოწმებადი ინფორმაციის არსებობა როგორც ქონების შეძენის, ასევე, ამ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის აუცილებელი ფინანსური წყაროების წარმომავლობის და მესაკუთრის შესახებ.

XXI საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი რესურსის ინვესტირება ოფშორულ კომპანიებში, და შემდეგ ასეთი კომპანიების მეშვეობით ფინანსური საქმიანობის წარმართვა. ოფშორული კომპანიების ბენეფიციარი (საბოლოო) მესაკუთრების შესახებ, როგორც წესი, არ არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი, რაც შეუძლებელს ხდის როგორც კომპანიის რეალური მფლობელის, ასევე, ამ კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური რესურსის წარმომავლობის გადამოწმების შესაძლებლობას.

საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა სახელმწიფოები აქტიურ ქმედებებს ახორციელებენ ბენეფიციარი მესაკუთრის ღიაობის სტანდარტის სამართლებრივი რეგულაციისთვის; შეიმუშავენ პრაქტიკულ გზამკვლევებს, რაც ეხმარება დაინტერესებულ პირებს გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრების დასადგენად; და ქმნიან აღნიშნული გამოწვევის აღმოფხვრისთვის ელექტრონული გადაწყვეტის გზებს ბენეფიციარი მესაკუთრების რეესტრის სახით.

საბოლოო მესაკუთრეების გამჭვირვალობის საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც კანონის უზენაესობის რეჟიმი მყიდვეა და კორუფციის შემთხვევები ხშირი. ამ მხრივ, საქართველოც არ არის გამონაკლისი. საქართველოში, გარიგებებში ხშირად არიან წარმოდგენილი ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიები და მათ მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალები და შვილობილი კომპანიები. აღნიშნული ზრდის საეჭვო გარიგებების დადების ალბათობას, რაც შეიძლება ხორციელდებოდეს კორუფციის ან სხვა უკანონო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფინანსური რესურსის გამოყენებით და მიზნად ისახავდეს ფულის გათეთრებას და ტერორიზმის ხელშეწყობას.

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევის მიზანია, მიმოიხილოს თუ რა საკანონმდებლო ჩარჩო არსებობს კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობის მიმართულებით საქართველოსა და ცენტრალური ევროპის ოთხ ხუთ ქვეყანაში - პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა. კანონმდებლობასთან ერთად, წარმოდგენილია, თუ როგორია ბენეფიციარ მესაკუთრეთა მონაცემების ხელმისაწვდომობის პრაქტიკა, რამდენად არსებობს ერთიანი რეესტრის პრაქტიკა ამ ქვეყნებში და რამდენად ხშირად გამოიყენებენ ადგილობრივი აქტივისტები და კერძო სექტორის წარმომადგენლები ამგვარ რეესტრებს საკუთარ ყოველდღიურ საქმიანობაში. ყოველი ქვეყნის შემთხვევაში, მოცემულია რეკომენდაციები ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების დასანერგად და გასაუმჯობესებლად.

IDFI-მ აღნიშნული კვლევა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოამზადა. ქვეყნების მიხედვით, შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი მათი ქვეყნის შესახებ პუბლიკაციის ქვე-თავის დაწერაში: **KohoVolit.eu (ჩეხეთი და სლოვაკეთი)**, **K-Monitor Public Benefit Association (უნგრეთი)** და **ePanstwo Foundation (პოლონეთი)**.



უნგრეთი

შეჯამება¹

- ❖ ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად, უნგრეთის პარლამენტმა ფულის გათეთრების შესახებ კანონის ხელახალი კოდიფიკაცია მოახდინა (ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ 2017 წლის LIII კანონი), სადაც 25-ე მუხლის ერთ-ერთ პუნქტში გაჩნდა ბენეფიციარი მესაკუთრეთა ცენტრალური რეესტრი.
- ❖ უნგრეთი ევროკავშირის 9 წევრ სახელმწიფოს შორის ერთ-ერთია, რომელმაც ცენტრალიზებული ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრის შექმნის 2020 წლის იანვრისთვის დაწესებულ ვადას გადააცილა. რეესტრი ბიზნეს სუბიექტების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის.
- ❖ ამავდროულად, 2021 წლის ივნისში, ძალაში შევიდა მსგავსი კანონი, რომელიც, ფაქტობრივად, რეესტრის შექმნას ითვალისწინებს და ადგენს დეტალურ წესებს, რომელთაგანაც ზოგიერთი მხოლოდ 2022 წლისთვის ამოქმედდება. ამდენად, ამ ახალი წესების გამოყენების შეფასება ჯერ-ჯერობით მართებული არ იქნება.

¹ აღნიშნული ნაწილი მომზადებულია IDFI-ის პარტნიორი ორგანიზაციის **K-Monitor Public Benefit Association** (უნგრეთი)-ის მიერ. ავტორები: Tibor Racz და Orsolya Vincze

შესავალი

ბენეფიციარი მესაკუთრე არის ის ფიზიკური პირი, რომელიც ბიზნეს ასოციაციაში ხმის უფლებათა ან წილების მინიმუმ 25 პროცენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს. როდესაც ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადი არ არის - პირი, რომელიც საბოლოო მესაკუთრეა ან ბიზნეს კავშირზე კონტროლს ახორციელებს, ბენეფიციარ მესაკუთრედ (მესაკუთრეებად) უფროსი მმართველი თანამდებობის პირი(პირები) უნდა ჩაითვალოს.

უნგრეთი ევროკავშირის 9 წევრ სახელმწიფოს შორის ერთ-ერთია, რომელმაც ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ცენტრალური რეესტრის შექმნის 2020 წლის იანვრისთვის დაწესებულ ვადას გადააცილა. ე.წ. „მოდარაჯე“ ორგანიზაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობის თანახმად, უნგრეთს, იტალიასა და ლიეტუვას ცენტრალური რეესტრი ჯერ არ შეუქმნიათ.²

ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ ევროკავშირის მეხუთე დირექტივის შესაბამისად, რომელიც უნგრეთის საკანონმდებლო ორგანომ ეროვნულ კანონმდებლობაში გაატარა, ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაცია უნდა შეინახოს ცენტრალურ რეესტრში, იმგვარად, რომ ის სრულად შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას. ამდენად, ამ ვალდებულებების შესასრულებლად, მომსახურების მიმწოდებლებმა - ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები, იურისტები, სანოტარო ბიუროები, ბუღალტრები, უძრავი ქონების სააგენტოები და სხვ. - უნდა განსაზღვრონ ევრეთ წოდებული ბიზნეს ასოციაციების მანდატების ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის რეესტრში ან სხვა მსგავს მონაცემთა ბაზაში ასახული პირებისგან.

თუმცა, სადამფუძნებლო კომპანიებმა და იურისტებმა, რომლებიც ევრეთ წოდებულ „საგადასახადო სამოთხეში“ ოფშორული საბანკო ანგარიშების გახსნის, ფულის გათეთრების და ფიქტიური კომპანიების (shell and shelf companies) დაარსების ბიზნესს აწარმოებენ, უკვე დაიწყეს იმ ბენეფიციარი მესაკუთრეების გაფრთხილება, რომლებსაც კორპორაციული მანქანების საშუალებით საკუთარი ვინაობის დამალვა სურთ. ინტერნეტში უკვე მოიძიება სტატიები, სადაც იურისტები იმ ხრიკებს ხსნიან, რომლის გამოყენებაც მათ კლიენტების იდენტიფიკაციის თავიდან არიდებაში დაეხმარებათ.

² <https://www.transparency.org/en/news/eu-beneficial-ownership-registers-public-access-data-availability-progress-2021>



კანონმდებლობა

უნგრეთმა 2017 წელს ევროკავშირის ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის (შემდგომში AML/CFT) მეოთხე დირექტივის³ კანონმდებლობაში გასატარებლად AML/ CFT საკანონმდებლო აქტი მიიღო⁴ (თუმცა, უნგრულ სამართლებრივ სისტემაში ბენეფიციარი მესაკუთრის კონცეფცია მანამდეც არსებობდა AML/CFT კანონმდებლობაში - მაგალითად, უნგრულ საჯარო დაწესებულებებს ხელშეკრულების გაფორმება მხოლოდ გამჭვირვალე ორგანიზაციებთან შეეძლოთ, რომელთა მესაკუთრეების სტრუქტურა სრულად გამჭვირვალე იყო). თუმცა, ევროკავშირმა AML/CFT-ის მარეგულირებელი წესები გაამკაცრა და 2018 წელს მეხუთე დირექტივა მიიღო. ერთ-ერთი ნორმა, რომელიც მეხუთე დირექტივაში აისახა, შეეხება წევრი ქვეყნებისთვის დაკისრებულ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ცენტრალურ რეესტრში შენახვის ვალდებულებას.

უნგრეთის მთავრობამ გადაწყვიტა რეესტრის ჩამოყალიბება 2020 წლის პირველი დეკემბრიდან 2021 წლის ივნისამდე გადაედო. 2021 წელს, უნგრეთის პარლამენტმა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ საკანონმდებლო აქტის ხელახლა კოდიფიცირება მოახდინა **(2017 წლის LIII საკანონმდებლო აქტი ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლისა და პრევენციის – AML/CFT საკანონმდებლო აქტი), და მიიღო ახალი ბრძანება, რომელიც 2021 წლის მაისში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ცენტრალური მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების პირობებს განსაზღვრავს**⁵.

ამჟამინდელი კანონმდებლობა ადგენს, რომ მომსახურების მიმწოდებლებმა (ფინანსური ინსტიტუტები, სხვა კომერციული საქმიანობები და სხვა პროფესიები, რომელიც ფორმალურად ფინანსებს არ უკავშირდება, მაგალითად, კაზინოები, უძრავი ქონების აგენტები, ძვირფასი მეტალითა და ძვირფასი ქვებით მოვაჭრეები, იურისტები, ნოტარიუსები, სხვა სამართლის დამოუკიდებელი პროფესიები და ბუღალტრები, ქონების მინდობილობით მართვისა და საკომპანიო მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც კლიენტების სახელით კონკრეტულ ვალდებულებებს ასრულებენ ან მათ შესრულებას უზრუნველყოფენ) მათი მომხმარებლების (იურიდიული პირები, არაკორპორაციული ორგანიზაციები, უფლებამოსილი მმართველები და სახელმწიფო კომპანიები, როცა სახელმწიფოს გარდა მინიმუმ 25 პროცენტიან წილს სხვა პირიც ფლობს) ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია უნდა შეაგროვონ.

³ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32015L0849&from=HU>

⁴ 2017 წლის LIII საკანონმდებლო აქტი ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის წინააღმდეგ – AML/CF საკანონმდებლო აქტი.

⁵ 2021 წლის 43-ე აქტი მონაცემთა მიწოდების წინაპირობების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც უკავშირდება ფინანსური და სხვა მომსახურების მიმწოდებლების პირთა იდენტიფიკაციის მიზნით საქმიანობას.

თუმცა, მომსახურების მიმწოდებლებმა ცენტრალური რეესტრის ნაცვლად შეგროვებული მონაცემები ფინანსურ ინსტიტუტებში (ბანკები და სხვა) უნდა წარადგინონ. ეს უკანასკნელი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემებს ცენტრალურ რეესტრში შეიყვანს.⁶ ამდენად, ვინაიდან ანგარიშვალდებული პირები (reporting agents) ვალდებული არიან გახსნან საბანკო ანგარიში, მათთან არსებული რეალური მესაკუთრეების შესახებ მონაცემები ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა მიიღონ და მონაცემები უნდა განთავსდეს სადეპოზიტო (შემნახველ) ყუთებში, შემდგომ კი გადაეცეს ცენტრალურ რეესტრს. რეესტრი იქმნება და იმართება ეროვნული საგადასახადო უწყების (NAV) მიერ.

გამჭვირვალობის რეესტრი უნდა შეიცავდეს ბენეფიციარი მესაკუთრის სახელს, დაბადების ადგილსა და თარიღს, ეროვნებას, მისამართს ან საცხოვრებელ ადგილს, ასევე ეკონომიკური სარგებლის ბუნებასა და ფარგლებს.⁷ დამატებით, რეესტრი უნდა შეიცავდეს TT ინდექსს, რაც ორგანიზაციის სანდოობის მაჩვენებელია.⁸ თუ ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ მონაცემები არ არის წარმოდგენილი, მომსახურების მიმწოდებელი უარს იტყვის მომხმარებელთან ბიზნეს ურთიერთობის დამყარებაზე. უფლებამოსილ ხელისუფლების ორგანოს და საფინანსო-სადაზვერვო უწყებებს ექნებათ პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა რეესტრში შენახულ მონაცემებზე. ზოგიერთ შემთხვევაში მესამე პირებმა შეიძლება მოითხოვონ რეესტრის მონაცემები კონკრეტულ მონაცემებზე წვდომის მოთხოვნის გზით.

უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოები და მომსახურების მიმწოდებლები 2022 წლის პირველი თებერვლიდან უფლებამოსილნი იქნებიან შეკითხვით მიმართონ რეესტრს. მომსახურების მიმწოდებლის შეკითხვის მიზანია მასთან არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმება და რეესტრში არსებულ მონაცემებთან მისი შედარება. რეალური მესაკუთრეები მათ მონაცემებზე წვდომას შეძლებენ 2021 წლის პირველი სექტემბრისთვის, სავარაუდოდ, მონაცემთა შესაბამისობაში მოყვანის, მონაცემთა დადასტურებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

მინდობით მართვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, კანონმდებლობა დაინტერესებულ პირებს წვდომის უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ლეგიტიმური ინტერესის დემონსტრირებას შეძლებენ ან როცა მოთხოვნა უკავშირდება ქონებისმინდობით მართვაზე შეთანხმებას, სადაც ისინი კომპანიის წილის უმრავლესობას ფლობენ. დამატებით, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ დაინტერესებულ პირებს მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვს (სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, ეროვნება, მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრეობის სარგებლის ბუნება და ფარგლები).⁹

⁶ Indoklások Tára, Magyar Közlöny melléklete, 67. Szám, 2021, május 28., péntek, p. 767

⁷ Indoklások Tára, Magyar Közlöny melléklete, 67. Szám, 2021, május 28., péntek, p. 769

⁸ პირველ მონაცემთა ტრანსმისიისას, დაინტერესებული ორგანიზაციები იღებენ ეროვნულ სარეგისტრაციო კოდს და ე.წ. TT ინდექსს, რომლის სიდიდე მონაცემთა პირველი შენახვისას 10 ქულით განისაზღვრება. ინდექსი აფასებს რეგისტრირებულ ორგანიზაციებს მათი ანგარიშების სანდოობის მიხედვით. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ აქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებლებისა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მომხმარებლის შემდგომი ფინანსური და იურიდიული შემოწმების (აუდიტის) საფუძველზე, ის მაჩვენებლები, რომლებიც რეესტრიდან გადახვევას უჩვენებენ, იგზავნება რეესტრში, რაც TT ინდექსის შემცირებას იწვევს.

⁹ A pénzügyi és egyéb szolgáltatók azonosítási feladatához kapcsolódó adatszolgáltatási háttér megteremtéséről és működtetéséről, Iromány száma: T/15996.

Benyújtás dátuma: 2021-04-20 23:25, Parlex azonosító: 5HZ646G40002, p. 28

კანონის მთავარი ცვლილებები ძალაში 2022 წლის პირველი ივლისიდან შევა. ის ძირითადად, ეფუძნება ხელისუფლების გადანაცვლებას, რომლითაც 2021 წლის დასაწყისში მას ახალი ყოვლისმომცველი კომპანიათა და სხვა იურიდიულ პირთა რეესტრი უნდა დაენერგა. კანონის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ ახალი ყოვლისმომცველი რეესტრი და ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცენტრალური რეესტრი ერთმანეთს დაუკავშირდეს.

დღეის მდგომარეობით, უნგრეთში მოქმედი რეესტრები (მაგალითად, კომპანიების რეესტრები, არასამთავრობოების შესახებ სასამართლო რეესტრები) კონკრეტული კერძო მონაცემთა ბაზების გარდა, არ შეიცავენ საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეების შესახებ მონაცემებს. ამდენად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შექმნის წინაპირობებს საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეთა მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბებისთვის. მომავალი იურიდიულ პირების ერთიანი რეესტრი, 2022-2024 წლებიდან იმოქმედებს და არსებულ მიმოფანტულ რეესტრებს ჩაანაცვლებს, საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ მონაცემების რეესტრის ჩათვლით.

კვლევის პერსპექტივებიდან გამომდინარე, საჭიროა უნგრეთთან დაკავშირებით MONEYVAL-ის (ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი) შეფასების მიმოხილვაც. 2016 წლის სექტემბერში ქვეყნის ორმხრივი შეფასების ანგარიშის მიღების შემდგომ, ქვეყანა MONEYVAL-ის მიერ გაძლიერებული მონიტორინგის პროცესს დაეჭვმდებარა.¹⁰ მონიტორინგის (follow-up) პროცესის განმავლობაში, ქვეყანა MONEYVAL-მა რამდენჯერმე ხელახლა შეაფასა.¹¹

2021 წლის აპრილში მე-12 რეკომენდაცია ხელახლა შეფასდა და ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, დიდწილად სტანდარტების შესაბამისად ჩაითვალა. რეკომენდაცია შეეხება პოლიტიკურად აქტიურ პირებს (ე.წ. PEP), და ანგარიშვალდებულებასა და ბენეფიციარ მესაკუთრეობასა და კონტროლს უკავშირდება. ბოლო მონიტორინგის შეფასებების თანახმად, ჯერ კიდევ არის ხარვეზები პოლიტიკურად აქტიური პირების (Politically Exposed Persons) განსაზღვრისას, ხოლო გაძლიერებული კომპლექსური (ფინანსური და სამართლებრივი) შემოწმების (Due Diligence) პროცედურების მარეგულირებელი წესები მალე აისახება მომსახურების მიმწოდებელთა შიდა აქტებში.



¹⁰ შენიშვნა: რეგულარული მონიტორინგი არის ყველა ქვეყნისთვის გათვალისწინებული მონიტორინგის მექანიზმი. ეს მიმართულია მიზნობრივი, თუმცა, ყოვლისმომცველი ანგარიშების შედგენისკენ ქვეყნებში/ტერიტორიებზე არსებულ პროგრესთან დაკავშირებით, მთავარი ფოკუსი კი იმ სფეროებზე კეთდება, სადაც ცვლილებები შეინიშნებოდა, ასევე მაღალი რისკის სფეროებზე, რომელიც განსაზღვრულია MER-ში ან შემდგომში და ასევე პრიორიტეტულ დარგებზე.

¹¹ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ანტიტერორისტული საქმიანობის დაფინანსების ზომები უნგრეთში, მესამე გაძლიერებული მონიტორინგის ანგარიში, 2019 წლის დეკემბერი, გვ. 3-4

უნგრეთმა ასევე განაცხადა, რომ 2021 წელს ფინანსთა მინისტრმა ცვლილება¹² შეიტანა მაშინდელ ბრძანებაში **No 21/2017 (მიღებული სახელმწიფო ეკონომიკის მინისტრის მიერ)**, რათა ქონების წყაროს დადასტურების დეკლარაციის არსებითი სავალდებულო ელემენტები ჩამოეყალიბებინა. MONEYVAL-ის მეოთხე გაძლიერებული მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, ქონების წყაროსთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები დიდწილად გამოსწორებულია. გაძლიერებული კომპლექსური შემოწმებასთან (ე.წ. Due Diligence) დაკავშირებით, AML/CFT აქტი (მე-16 ნაწილი) განსაზღვრავს, რომ მაღალი რისკის მქონე მომხმარებლები, მათ შორის, როცა მომხმარებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე PEP-ს წარმოადგენს, უნდა დაექვემდებაროს გაძლიერებულ სათანადო აუდიტს (EDD – Enhanced Due Diligence). თუმცა, საპროცესო ნორმების ინიცირება და ჩამოყალიბება მომსახურების მიმწოდებლის შიდა წესებით უნდა მოხდეს. „ხსენებული პროცედურა მოითხოვს, რომ ზედამხედველმა ხელისუფლების ორგანომ დაადასტუროს მომსახურების მიმწოდებლის შიდა წესები.“¹³

61-ე პლენარულ სხდომაზე, უნგრეთმა აღნიშნა, რომ PEP-ის დეფინიციასთან და რისკის მართვის სისტემასთან დაკავშირებით კანონმდებლობის ბოლოდროინდელი ცვლილებები მომსახურების მიმწოდებლებს საკმარის შესაძლებლობებს აძლევს მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და შემოწმებისთვის. ასევე აღინიშნა, რომ მომხმარებელთა განცხადებების გარდა, გამოყენებული იქნება ინფორმაციის სხვა წყაროებიც.^{14 15}

Moneyval-ის მეხუთე რაუნდის ორმხრივი შეფასების ანგარიშში განისაზღვრა ტრასტთან (ნდობითი ფუნქცია) და მინდობილ მესაკუთრესთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ხარვეზები, განსაკუთრებით, არაკვალიფიციურ მინდობილ მესაკუთრესთან (a non-professional trustee) მიმართებით. ეს უკანასკნელი უნდა დარეგისტრირდეს უნგრეთის ეროვნულ ბანკში (Magyar Nemzeti Bank, MNB), ხოლო კვალიფიციურს ლიცენზია ენიჭება უნგრეთის ეროვნული ბანკის მიერ.

უნგრეთმა ტრასტის ინსტიტუტი სამართლებრივ სისტემაში 2014 წელს დანერგა, ახალი 2014 წლის სამოქალაქო კოდექსის კანონით, როგორც ქონების მინდობით მართვა (უნგრულად: 'bizalmi vagyonkezelés', "ტრასტი" ან "უნგრული ტრასტი"), რაც მატერიალიზდა სახელშეკრულებო ურთიერთობად მიმდობსა (უნგრულად: 'vagyonrendelő') და ქონების მინდობით მმართველს ('vagyonkezelő') შორის. ქონების მინდობით მართვის ხელშეკრულებაში ან სხვა ინსტრუმენტის გამოყენებისას (ტრასტის ინსტრუმენტი) მიმდობი ქონების მინდობით მმართველს ანდობს და გადასცემს ქონებას, რათა მან გამოიყენოს და მართოს ერთი ან რამდენიმე ბენეფიციარის სასარგებლოდ (უნგრულად: „kedvezményezett“).

¹² ბრძანება No. 3/2021. (II. 2.) ზოგიერთი მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც უკავშირდება ტერორიზმისა და ფულის გათეთრების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ 2017 წლის 53-ე აქტის იმპლემენტაციას.

¹³ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ანტიტერორისტული საქმიანობის დაფინანსების ზომები უნგრეთში, მეოთხე გაძლიერებული მონიტორინგის ანგარიში, 2021 წლის აპრილი, გვ. 4

¹⁴ MONEYVAL-ის უნგრეთის შესახებ მეხუთე რაუნდის ორმხრივი შეფასების ანგარიშის თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ინახება ფინანსურ ინსტიტუტებსა და DNFBP-ში, უმეტესად მომხმარებელთა განცხადებებს ეფუძნება. „ეს კი გარკვეულ კითხვებს წამოჭრის შეგროვებული ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით.“

¹⁵ <https://rm.coe.int/moneyval-2021-13-61st-plenary-meeting-report/1680a2e29c>

MONEYVAL-ის თანახმად, არაკვალიფიციური მინდობილი მესაკუთრეები (a non-professional trustee) არ ექვემდებარებიან AML-CFT-ით დადგენილ ვალდებულებებს, მათ შორის, არც პრევენციულ (CCD) ზომებს. AML/CFT-ის შესახებ აქტი მინდობილი პირებისგან (კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური) არ მოითხოვს ღია გახადონ მათი სტატუსი მომსახურების მიმწოდებლებისთვის, არც ბენეფიციარი მესაკუთრისთვის (მესაკუთრეებისთვის) ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ითვალისწინებს. ბენეფიციარ მესაკუთრეობას რაც შეეხება, AML/CFT-ის შესახებ აქტი, ტრასტის ცნებას საერთოდ არ შეიცავს. არც ინფორმაცია იყო წარმოდგენილი არასწორი ინფორმაციის ან ძირითადი ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იურიდიული პირებისთვის დაკისრებულ სანქციებთან დაკავშირებით.¹⁶

დოკუმენტი „პრიორიტეტული საქმიანობების“ განყოფილებაში მიუთითებს იმ მომდევნო ნაბიჯებზე, რასაც ისინი უნგრეთის მთავრობისა და სახელისუფლებო ორგანოებისგან. მათ შორის, უნგრეთის ეროვნული ბანკისგან, უნგრეთის ეროვნული საგადასახადო ხელისუფლების ორგანოს ქვეშ მოქმედი ფინანსური სადაზვერვო უწყებისგან ელიან. დოკუმენტი მიუთითებს, რომ ქვეყანამ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით არსებული შეუსაბამობების და უზუსტობების შეფასება უნდა დაიწყოს, რაც ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის შედეგად ცრუმაგიერი პირის გამოყენებას უკავშირდება. გემოხსენებულ კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონდეს ბენეფიციარ მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, დეტალურად, პირდაპირი წვდომა. დამატებით, ტრასტის ან AML/CFT შესახებ აქტში უნდა შევიდეს ცვლილებები და ზუსტად განისაზღვროს, რომ ტრასტის ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ ინფორმაცია პრევენციული (CDD) მიზნებისთვის ფინანსური ინსტიტუტებისა და გარკვეული არასაფინანსო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კომპანიებისა და პროფესიებისთვის (FI და DNFBP) ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ არაკვალიფიციური მინდობილი პირები ასევე გახსნიან მათი სტატუსის შესახებ ინფორმაციას FI-სა და DNFBP-სთვის ბიზნეს ურთიერთობის დანწყებასთან დაკავშირებით ან კონკრეტულ ზღვარს გემოთ არარეგულარული ტრანზაქციის განხორციელებისას. სამართლებრივი ზომები უნდა დაინერგოს სასამართლო რეგისტრაციის ორგანოსთვის კანონიერი მესაკუთრის ცვლილებების შესახებ სწრაფად შეტყობინების მიზნით, ამ მოთხოვნის დარღვევას კი დამაჯერებელი სანქციები უნდა მოჰყვეს.¹⁷

MONEYVAL-ის ანგარიშის თანახმად, შესაბამისი პრევენციული (CDD) ზომები არ იქნა გატარებული არასაფინანსო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კომპანიებისა და პროფესიების (DNFBP) სექტორში, სადაც ფინანსური სექტორთან შედარებით, AML/CFT ზომები ზოგადად ნაკლებად არის განვითარებული. „როგორც ფინანსურ ინსტიტუტებში, ისე არასაფინანსო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კომპანიებსა და პროფესიებში ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირების მოთხოვნებთან დაკავშირებით საკმარისი ცოდნა არ არსებობს.“ კომპანიის დაფუძნებისას, საბანკო ანგარიშების გახსნისას და ტრანზაქციების განხორციელებისას ილუზორული კომპანიების

¹⁶ MONEYVAL, მეხუთე რაუნდის ორმხრივი შეფასების ანგარიში, შემაჯამებელი მიმოხილვა, გვ. 8

¹⁷ MONEYVAL, მეხუთე რაუნდის ორმხრივი შეფასების ანგარიში, შემაჯამებელი მიმოხილვა, გვ. 10

(phantom companies) და ცრუმაგიერი პირების გამოყენება, მაღალ რისკად მიიჩნევა, ამას კი ზეგავლენა აქვს AML/CFT-ის პრევენციული სისტემის ეფექტიანობაზე¹⁸. ზოგადად, არასაფინანსო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კომპანიებისა და პროფესიების (DNFBP) სექტორში პრევენ-ციული (CDD) ზომების გატარებასთან დაკავშირებით სიძნელებები არსებობს. ანგარიშის თანახმად, არ არსებობს ქონების წყაროს იდენტიფიცირების ზოგადი პრაქტიკა, განსაკუთრებით თუ ისინი უკავშირდება პოლიტიკურად აქტიური პირების (PEP) საბანკო გადარიცხვებს.

უნგრეთი რჩება გაძლიერებული მონიტორინგის ქვეშ და აგრძელებს ანგარიშის წარდგენას MONEYVAL-სთვის AML/CFT ზომების გატარების გაძლიერებასთან დაკავშირებით არსებულ პროგრესზე. „უნგრეთმა ერთ წლის ფარგლებში 63-ე პლენარული სხდომისთვის უნდა წარადგინოს ანგარიში (სავარაუდოდ, MONEYVAL-ის წერილობითი საპროცედურო მექანიზმის მეშვეობით). თუ ყველა არა, რეკომენდაციის უმეტესობა მაინც არ შეფასდება ნაწილობრივ ან უმეტესად შესაბამისად, პლენუმი წამოჭრის შესაბამისობის გამაძლიერებელი პროცედურის (CEP) გამოყენების საკითხს“^{19,20}

ცხრილი 2. სპეციალური/დარგობრივი შესაბამისობა ხელახალი შეფასებებით 2021 წლის აპრილი²¹

R1	R2	R3	R4	R5	R6	R7	R8	R9	R10
LC	LC	LC	C	LC	LC	C	PC	LC	LC
R11	R12	R13	R14	R15	R16	R17	R18	R19	R20
LC	LC	PC	C	PC	LC	LC	PC	LC	C
R21	R22	R23	R24	R25	R26	R27	R28	R29	R30
LC	LC	LC	PC	LC	LC	LC	LC	C	C
R31	R32	R33	R34	R35	R36	R37	R38	R39	R40
LC	PC	LC	LC	LC	LC	LC	LC	LC	LC

შენიშვნა: არსებობს სპეციალური შესაბამისობის ოთხი შესაძლო დონე: შესაბამისია (C), უმეტესწილად შესაბამისია (LC), ნაწილობრივ შესაბამისია (PC), შეუსაბამოა (NC).

¹⁹ შესაბამისობის გამაძლიერებელი პროცედურა;

²⁰ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ანტიტერორისტული საქმიანობის დაფინანსების ზომები უნგრეთში, მეოთხე გაძლიერებული მონიტორინგის ანგარიში, 2021, გვ. 8

²¹ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ანტიტერორისტული საქმიანობის დაფინანსების ზომები უნგრეთში, მეოთხე გაძლიერებული მონიტორინგის ანგარიში, 2021, გვ. 8

კრატია

საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევის თანახმად, უნგრეთი, იტალია და ლიეტუვა წარმოადგენს იმ სამ ქვეყანას, რომელსაც საბოლოო ბენეფიციარების შესახებ არანაირი სახის რეესტრები არ დაუნერგავს.²²

ევროკავშირის ფარგლებში ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრები

- საჯარო რეესტრი (უფასო და ღია მონაცემები)
- საჯარო რეესტრი (უფასო)
- საჯარო რეესტრი (ფასიანი)
- კერძო რეესტრი
- რეესტრი არ არსებობს
- e წვდომა მხოლოდ მოქალაქეებს აქვთ / ევროკავშირის მოქალაქეების ელ-საიდენტიფიკაციო საშუალებით
- ! უფასო/თავისუფალი წვდომა ელ-საიდენტიფიკაციო საშუალებით



სურათი ეკუთვნის საერთაშორისო გამჭვირვალობას²³

²² <https://bit.ly/3D2XekX>

²³ Access denied? Availability and accessibility of beneficial ownership data in the European Union, 2021

Authors: Adriana Fraiha Granjo and Maïra Martini

Contributors: Aram Khaghaghordyan, Daphne Caruana Galizia Foundation, Netzwerk Steuergerechtigkeit Deutschland and Transparency International chapters in Austria, Belgium, Czech Republic, Estonia, Finland, France, Germany, Greece, Hungary, Italy, Ireland, Latvia, Lithuania, Netherlands, Portugal, Romania, Slovakia, Slovenia, Spain and Sweden.

უნგრეთში, საჯარო რეესტრებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე, გარკვეული დოზით უნგრულ სასამართლოებში დარეგისტრირებული ყველა კომპანია მოიძებნება, თუმცა, ყველა მონაცემისა და დოკუმენტის მოძიება შესაძლებელი არ არის.²⁴ ძირითადად, ვებგვერდზე მოიპოვება ბალანსის უწყისები, წლიური შეხვედრების ჩანაწერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფინანსური ანგარიშგების შესახებ შენიშვნები. ბენეფიციარი მესაკუთრეების სტრუქტურა შეიძლება ამოიციროს თუ ბენეფიციარი მესაკუთრე კომპანია არის უნგრული და მონაცემთა ფაილებში ან სხვა წყაროში კომპანიის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

უნგრული კომპანიების შესახებ ონლაინ შემდეგი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი: კორპორაციული რეგისტრაციის ნომერი, კომპანიის სახელი, სათაო ოფისი, ფილიალები, საქმიანობა, სააქციო კაპიტალი, გადასახადის გადამხდელის ნომერი და ლიკვიდაციასა და გაკოტრების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დამატებითი ინფორმაცია კონკრეტული გადასახადის გადახდის შემთხვევაშია ხელმისაწვდომი.

უნგრეთის ბიზნეს რეესტრის გამოყენებით, კომპანიის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად, ფიზიკურმა პირებმა ძიებისას უნდა გამოიყენონ შემდეგიდან ერთ-ერთი: კომპანიის სახელი, კორპორაციული რეგისტრაციის ნომერი, გადასახადის გადამხდელის ნომერი.

უნგრეთში არსებულ ყველა სხვა ბიზნეს რეესტრი კერძო ბიზნეს სარეესტრო სერვისებს წარმოადგენს, მაგალითად, <https://www.nemzeticetar.hu>, <https://www.opten.hu>, ან <https://www.bisnode.hu>. ეს უკანასკნელი შეიცავს ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს საზღვარგარეთული კომპანიებია.

პანდემიის გამო უნგრეთის სასამართლოებმა რამდენიმე შეზღუდვა შემოიღეს. მაგალითად, ჩვეულებრივი მოქალაქეს და ჟურნალისტსაც კი მოკვლევით გარკვეული ხანგრძლივობით ადგილი უნდა დაეჭავშნა, რაც დღეში მაქსიმუმ 30 წუთით იყო შესაძლებელი. ადგილის დასაჭავშნად უნდა მიეთითოს მომთხოვნის სახელი და პირადი ნომერი. დამატებით, მოქალაქე/ჟურნალისტმა ასევე უნდა მიუთითოს კომპანია, რომლის თაობაზეც მას მოკვლევით წარმოება სურს. ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის წვდომის სირთულე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოქმნის თაღლითობის, კორუფციისა და ფულის გათეთრების გამოძიების პროცესში. მეორე საკითხია ის, თუ რამდენად უნდა იცოდნენ ხელისუფლების ორგანოებმა რომელ კომპანიებზე აწარმოებენ გამოძიებას საგამოძიებო ჟურნალისტები და ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რამდენად აყენებს ჟურნალისტებს რისკის ქვეშ არსებული ვითარება.

რეესტრიდან შესაძლებელია მონაცემების PDF დოკუმენტებად გადმოწერა, ზოგიერთი დოკუმენტის ღირებულება დაახლოებით 3 ევროს შეადგენს. Opten-ისა და Bisnode-ის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს გამოწერის ღირებულება კონკრეტული პერიოდისთვის, რათა მონაცემებზე ჰქონდეს წვდომა. Opten ასევე სთავაზობს მომხმარებელს უფასო საძიებო მექანიზმს მხოლოდ ძირითადი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგალითად, კომპანიის მისამართის ან კომპანიის არსებობის შესახებ.

²⁴ <https://e-beszamolo.im.gov.hu/oldal/kezdolap>

Crystal Worldwide-მა, რომელიც კომპანიების დამფუძნებელი ფირმაა და რეგისტრირებულია ლიხტენშტაინში (თუმცა, უნგრეთიდან ოპერირებს სხვადასხვა ოფშორული იურისდიქციების ქვეშ კვიპროსში, სეიშელის კუნძულებზე და მალტაში), ბიზნეს ვებგვერდ Portfolio.hu-ზე გამოაქვეყნა სტატია საინტერესო დებულებებით იმასთან დაკავშირებით, რა შეიძლება მოხდეს თუ ქვეყნები ევროკავშირში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრებს შექმნიან. ის ამბობს, რომ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრი უნგრეთში კომპანიების სტრუქტურებს გაამარტივებს, ვინაიდან მესაკუთრის დამალვას არავითარი აზრი არ ექნება. თუმცა, საზოგადოება შეიძლება ელოდოს მესაკუთრეებისგან სხვა რეაგირებასაც:

„ამ დრომდე, თუ ვინმეს ჩრდილში დარჩენა სურდა, საუკეთესო შემთხვევაში, შეეძლო დახვეწილი სტრუქტურის მეორე კომპანიის დაარსება, რომელიც ცნობილი იქნებოდა ხელისუფლების ორგანოებისთვის, თუმცა, სამართლებრივად რეალური მესაკუთრის ვინაობა დაცული იქნებოდა. რეალური მესაკუთრეების რეესტრი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მომდევნო ბაფხულიდან, თუმცა უფრო მეტ გამჭვირვალობას შედეგად მოჰყვება ის, რომ მომავალში ბევრი მოისურვებს კომპანიის რთული სტრუქტურის ჩამოყალიბების ნაცვლად, ცრუმაგიერ პირს გადასცეს უფლებამოსილება. თუმცა, რეესტრი დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომლებიც ცრუმაგიერ პირებს უკვე იყენებენ, ის დიდ პრობლემებს არ შეუქმნის.“, განაცხადა Csaba Magyar-მა, Crystal Worldwide-ის მენეჯერმა. მან ასევე მიანიშნა ახალი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრებთან მიმართებით რა საპასუხო ზომები შეიძლება გაატარონ: როგორც მან აღნიშნა, პირობას 25%-ზე მოჰყვება უფრო მეტი მესაკუთრე ერთ კომპანიაზე. თუ, მაგალითად, ხუთი ადამიანი კომპანიის სააქციო კაპიტალს თანაბარწილად ფლობს, ფირმას ბენეფიციარი მესაკუთრე ვერ ეყოლება“ და ამ შემთხვევაში, კანონის თანახმად, მენეჯერი ხდება ბენეფიციარი.²⁵ ეს კი ქვეყანაში ცრუმაგიერი პირების უფრო ფართოდ გამოყენებას ნიშნავს.

როგორც Csaba Magyar-მა აღნიშნა, შესაძლებელია, რომ პირმა შექმნას ხელშეკრულებათა ჯაჭვი იმგვარად, რომ ფულის გათვრების კანონმდებლობით დადგენილი ბენეფიციარი მესაკუთრის დეფინიციის ქვეშ არ მოხვდეს, თუმცა, ფაქტობრივად, კომპანიაზე სრულ კონტროლს ახორციელებდეს. მაგალითად, კომპანიის ვალის გადახდის სანაცვლოდ გაყიდვის მეთოდი, რომელზეც გამსესხებელს, ფაქტობრივად, სრული კონტროლი ექნება, ასევე, გადახდის მოთხოვნაზე ხელშეკრულებებიც შეიძლება იქნეს მსგავსი მიზნებით ამ სფეროში გამოყენებული.²⁶

²⁵ <https://www.portfolio.hu/gazdasag/20210622/a-stromanok-iranyaba-billenti-a-merleget-az-uj-penzmosasi-szabalyozas-488412>

²⁶ <https://www.portfolio.hu/gazdasag/20210622/a-stromanok-iranyaba-billenti-a-merleget-az-uj-penzmosasi-szabalyozas-488412>



რეკომენდაციები



საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეთა ცენტრალურმა რეესტრებმა იურიდიული პირის მესაკუთრეთა სრული ჯაჭვისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების მიერ განხორციელებული კონტროლის ფარგლებს შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოითხოვონ. უნდა ჩამოყალიბდეს რეგისტრაციის უფრო მკაფიო მოთხოვნები, შეივსოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და განისაზღვროს უფრო დახვეწილი რისკის ანალიზის მეთოდები.



ყველა კომპანიის რეესტრის მონაცემები საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ავტომატურად წაკითხვად ფორმატში, მოპოვებადი უნდა იყოს დიდი რაოდენობით, API-ის (გამოყენებითი პროგრამების ინტერფეისი) მეშვეობით.



ევროკავშირში კომპანიების რეესტრები ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყოს, რის შესახებაც კანონით უნდა განისაზღვროს.



პოლონეთი

შეჯამება²⁷

- ❖ ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობა პოლონეთში დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს. სათანადო კანონმდებლობა იმაზე უკეთ არის დანერგილი, ვიდრე ამას საერთაშორისო სტანდარტები და რეგულაციები ითვალისწინებს.
- ❖ ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ ღია რეესტრი 2019 წლის ივლისიდან მუშაობს და, ზოგადად, თითოეული ორგანიზაცია, რომელსაც შესაბამისი ინფორმაციის შეყვანის ვალდებულება ეკისრება, ამ ვალდებულებას ასრულებს.
- ❖ რეესტრი ღიაა საზოგადოებისთვის, თუმცა ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ იშვიათად გამოიყენება. ერთ-ერთ მიზეზი ბენეფიციარი მესაკუთრებისა და კორუფციაზე მათი ზეგავლენის შესახებ საზოგადოების დაბალი ცნობიერებაა. კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ რეესტრი ღია მონაცემების სტანდარტებს არ იყენებს, რის გამოც ამომწურავი ანალიზის ჩატარება რთულია და ბევრი დრო მიაქვს.
- ❖ ამდენად, პოლონეთისთვის ორი ძირითადი რეკომენდაცია შეიძლება გამოიყოს - ბენეფიციარი მესაკუთრების რეესტრთან მიმართებაში ღია მონაცემების სტანდარტების დანერგვა და თემის ირგვლივ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

²⁷ აღნიშნული თავი მომზადებულია IDFI-ის პარტნიორი ორგანიზაციის, ePaństwo Foundation (პოლონეთი)-ის მიერ. ავტორი: კვიშტოვ იზდებსკი

მესაკალი

პოლონეთმა ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კომპლექსური კანონმდებლობა პირველად 2000 წელს²⁸ მიიღო, რაც ევროკავშირში 2004 წელს გაწევრიანებისთვის მზადების თანმდევ პროცესი იყო. კანონში რამდენჯერმე ცვლილებები შევიდა, ხოლო გაუქმდა 2018 წელს, როცა 2018 წლის პირველ მარტს ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ კანონი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნდა.²⁹ 2018 წლის 13 ივლისს ახალი კანონი ძალაში შევიდა.

ახალი რეგულაციების შემოღება, მათ შორის, გამიზნული იყო პოლონეთის კანონმდებლობის „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე“ 2015 წლის 20 მაისის ევროპარლამენტის და საბჭოს 2015/849 დირექტივასთან დასაახლოებლად, რომელმაც ევროპარლამენტის და საბჭოს No 648/2012 რეგულაცია შეცვალა და ევროპარლამენტის და საბჭოს 2005/60/EC დირექტივა და კომისიის 2005/60/EC დირექტივა გააუქმა.³⁰

კანონის საფუძველზე მიღებულ სხვა ცვლილებებს შორის იყო ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალური რეესტრის (Centralny Rejestr Beneficjentów Rzeczywistych: CRBR³¹) შექმნა. რეესტრმა ფუნქციონირება 2019 წლის 13 ოქტომბერს დაიწყო. რეესტრი საჯაროა და ბენეფიციარებზე შეგროვებული ინფორმაცია უფასოდ არის ხელმისაწვდომი.

CRBR-ში შესაძლებელია კომპანიის ბენეფიციარებისა და წარმომადგენლების დარეგისტრირება, ასევე რეგისტრაციის ფაქტის დამადასტურებელი ოფიციალური განცხადების გადმოწერა, კომპანიის წევრი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მოძებნა კონკრეტულ გადასახადის გადამხდელის ნომერთან (NIP) ერთად, ან ინფორმაციის ნახვა კომპანიებზე, სადაც პირი, განსაზღვრული უნივერსალური ელექტრონული სამოქალაქო რეესტრის სისტემის (PESEL) ნომრით ან სახელით, გვარით, ან დაბადების თარიღით (იმ პირებისთვის, ვისაც PESEL ნომერი არ აქვთ მინიჭებული), ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენს. რეესტრის გამოყენება რთულად შეფასდა ჯერ კიდევ 2016 წელს, როდესაც აუდიტის უზენაესი პალატა, 2000 წლის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ (AML) კანონის მონიტორინგის ანგარიშში, 2015/849 დირექტივის აღსასრულებლად ფინანსთა სამინისტროს ქვეშ შექმნილ სპეციალურ ჯგუფის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუს

²⁸ Ustawa z dnia 16 listopada 2000 r. o przeciwdziałaniu praniu pieniędzy oraz finansowaniu terroryzmu (O.J 2000, no 116, item 1216)

²⁹ O.J 2018, item 753

³⁰ ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი, L 141 of 05.06.2015, p. 73

³¹ <https://crbr.podatki.gov.pl/adcrbr/#/>

შეეხო. 2016 წელს ჯგუფის მიერ გამოვლენილი მიგნებების თანახმად „ძალიან დიდ საკანონმდებლო, ორგანიზაციულ და ტექნიკურ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული 2015/849 დირექტივის 30-ე მუხლის პუნქტების გატარება, რომელიც იურიდიული პირების ბენეფიციარ მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის რეესტრის დანერგვას შეეხება. პრობლემის გადაჭრის შეთავაზებულ გზას - სასამართლოს ეროვნულ რეესტრში განთავსებული იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის გაზრდას - იუსტიციის სამინისტრო არ დაეთანხმა.“³²

საბედნიეროდ, ეს შიშები პრაქტიკაში არ გამართლდა. პოლონეთს ბენეფიციარი მესაკუთრეების ერთ-ერთი საუკეთესო რეესტრი აქვს, თუმცა, გარკვეული ცვლილებების დანერგვა საჭიროა, რათა მისი მაქსიმალურად გამოყენება გახდეს შესაძლებელი.

³² <https://www.nik.gov.pl/plik/id,11662,vp,14015.pdf>



კანონმდებლობა

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონში ცვლილებების შესვლამდე, რომელიც 2021 წლის 15 მაისს შევიდა ძალაში და განხორციელდა მანამდე ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ დირექტივაში შესული ცვლილებების გამო, ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალურ რეესტრში (CRBR) დარეგისტრირება მხოლოდ კომპანიების ვალდებულება იყო. კანონში ცვლილებების შესვლის შემდგომ, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეების დარეგისტრირების ვალდებულება ეკისრება (თითქმის) ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, ასევე ფონდებს, რეგისტრირებულ კავშირებსა და კოოპერატივებს, რომლებიც ყველა სხვა დანესებულებასთან ერთად დაემატა კატალოგს. ორგანიზაციებისთვის დაკისრებული რეგისტრაციის ახალი ვალდებულებები პრაქტიკაში ძალაში 2021 წლის 31 ოქტომბერს შევა.

2021 წლის ცვლილებებმა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრის ანგარიშვალდებულების მხრივაც გააჩინა ვალდებულებები, მათ შორის, ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ CRBR-ში შეყვანილი მონაცემების სინამდვილესთან შესაბამისობის დადასტურების ვალდებულება.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონი **ბენეფიციარ მესაკუთრეს** აღწერს, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც მომხმარებელს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს სამართლებრივი ან „დე ფაქტო“ უფლებების მეშვეობით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს იმ ქმედებებსა და საქმიანობებზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს, რომელიც ხორციელდება მომხმარებლის ან ნებისმიერი იმ ფიზიკური პირის მიერ, რომლის სახელითაც ეკონომიკური ურთიერთობა მყარდება ან არარეგულარული ტრანზაქციები ხორციელდება, მათ შორის:

a იურიდიული პირის შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს კომპანიას, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია რეგულირებად ბაზარზე და ექვემდებარება ღიაობის ევროკავშირის კანონმდებლობით ან მესამე ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული მსგავსი ნორმებით დადგენილ მოთხოვნებს:

- ფიზიკური პირი, რომელიც ამ იურიდიულ პირში არსებული სრული რაოდენობის აქციათა (წილების) 25%-ზე მეტს ფლობს
- ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ხმის უფლებათა 25%-ზე მეტს იურიდიული პირის სადამფუძნებლო ორგანოში, მათ შორის, როგორც მოგირავენე ან უზუფრუქტუარი ან სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმების საფუძველზე ხმის უფლების მქონე;
- ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს კონტროლს იურიდიულ პირზე ან იურიდიულ პირებზე, რომლებიც ჯამში აქციათა სრული რაოდენობის (წილების) 25%-ზე მეტს ან ამგვარი იურიდიული პირის მმართველ ორგანოში ხმათა სრული რაოდენობის 25%-ზე მეტს ფლობენ, მათ შორის, როგორც მოგირავენე ან უზუფრუქტუარი ან სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმების საფუძველზე ხმის უფლების მქონე;

- ფიზიკური პირი, რომელიც იურიდიულ პირზე კონტროლს ახორციელებს 1994 წლის 29 სექტემბრის საბუღალტრო ანგარიშწარმოების შესახებ კანონის 3.1.37 მუხლში მითითებული საკონტროლო უფლებამოსილებების საშუალებით ან
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი ფიზიკური პირი, იმ შემთხვევაში, როცა პირველ-მეოთხე აბზაცში მითითებული ფიზიკური პირების ვინაობის შესახებ არსებობს ეჭვები ან მათი არსებობა დოკუმენტურად არ დასტურდება და როცა არ არსებობს ტერორიზმის დაფინანსებასთან ან ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით ეჭვები.

b ტრასტის შემთხვევაში:

- დამფუძნებელი
- მინდობილი პირი
- ზედამხედველი, არსებობის შემთხვევაში,
- ბენეფიციარი ან, თუ ფიზიკური პირების ტრასტიდან მომავალი სარგებელი ჯერ განსაზღვრული არ არის, პირთა ჯგუფი, რომელთათვისაც ტრასტის შექმნისა და ფუნქციონირებს ძირითადი სარგებელი განსაზღვრულია
- სხვა პირი თუკი ის ტრასტზე კონტროლს ახორციელებს,
- სხვა ფიზიკური პირი, რომელსაც პირველ-მეხუთე აბზაცებში განსაზღვრული უფლებამოსილებები ან შესასრულებელი ვალდებულებები გააჩნია.

c ფიზიკური პირი, თუ ის თავისი საქმიანობის ფარგლებში მოქმედებს და მის მიმართ არ არსებობს გარკვეული მინიშნებები ან გარემოებები, რომლებიც მისი სხვა ფიზიკური პირის ან პირების მიერ კონტროლის ფაქტზე მიუთითებენ, ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ.

მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, ან ორგანიზაციული ერთეული იურიდიული პირის სტატუსის გარეშე, რომელსაც ვალდებულების მქონე ორგანიზაცია მომსახურებას უწევს ან ასრულებს სხვა საქმიანობებს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის, ისინი, რომლებთანაც ვალდებულების მქონე ორგანიზაცია ბიზნეს ურთიერთობაში შედის ან ვისი მითითებებითაც ის არარეგულარულ ტრანზაქციებს ახორციელებს.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონი მიუთითებს, რომ **ვალდებულების მქონე ორგანიზაციებს** წარმოადგენენ ორგანიზაციები, რომლებსაც ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჟღავნების ვალდებულება აკისრიათ. ესენი არიან მენარმეები, ორგანიზაციები და კომპანიები, მაგალითად ფინანსური სექტორიდან, რომლებიც რეგულარულ ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებენ მომხმარებლებთან ან არარეგულარულ ტრანზაქციებს ახორციელებენ მათი სახელით. ეს ჯგუფი მოიცავს, მაგალითად:

- ფინანსურ, საკრედიტო, სასესხო ინსტიტუტებს, როგორცაა ბანკები, მეურვე/მცველი (custodian) ბანკები, კოოპერატიული შემნახველი და სასესხო ასოციაციები, საინვესტიციო ფონდები და კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები და ორგანიზაციები, სალიზინგო კომპანიები, საგადასახადო მომსახურების ორგანიზაციები, საგადასახადო მომსახურების ბიუროები, ანგარიშსწორების აგენტები, ელექტრონული ფულის ორგანიზაციები, ქონებით მოვაჭრეები, მაგალითად, პორტალებითა და აუქციონით მოვაჭრე სახლები, ვალუტის გასაცვლელი პუნქტები (ასევე ონლაინ), უძრავი ქონების აგენტები,
- ორგანიზაციები, რომლებიც აზარტული თამაშების, ფსონების, კარტითა და სათამაშო აპარატებით თამაშის სფეროში საქმიანობენ;
- არა-კომერციული ორგანიზაციები, მაგალითად, ფონდები და ასოციაციები,
- ფინანსური მომსახურების სპეციალისტები, როგორცაა საგადასახადო მრჩევლები და აუდიტორები,
- სამართალმცოდნეები, მათ შორის, ნოტარიუსები, იურისტები და სოლისიტორები,
- მენარმეები, რომლებიც ნაღდი ანგარიშსწორების გზით ერთ ტრანზაქციაში მინიმუმ 10,000 ევროს რაოდენობის ან მრავალ ერთმანეთთან დაკავშირებულ ტრანზაქციაში მინიმუმ 10,000 ევროს რაოდენობის გადახდებს იღებენ ან ასრულებენ,
- მენარმეები, რომლებიც ორგანიზაციული ერთეულების შექმნის, ვირტუალურ ოფისების მართვის მომსახურებას ეწევიან და კომპანიის მმართველი ბორდის ფუნქციებს ასრულებენ ან ასეთი ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას ქმნიან.
- მენარმეები, რომლებიც ჩართულნი არიან ან შუამავლებად გამოდიან ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ნივთების და ანტიკვარიატით ვაჭრობაში ან მათ შენახვაში - 10,000 ევროს ან მეტი ღირებულების მქონე ტრანზაქციების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, ტრანზაქციები ერთმანეთთან დაკავშირებულია თუ არა),
- მენარმეები, რომლებიც ეწევიან დეკლარაციების მომზადების, საგადასახადო წიგნების წარმოების, საგადასახადო ან საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებით რჩევების, მოსაზრებებისა ან განმარტებების მიცემის მომსახურებას და არ არიან სხვა ვალდებულების მქონე ორგანიზაციები.



კონტროლის მექანიზმები. ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალური რეესტრი

ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხრივ, CRBR წარმოადგენს საუკეთესო მექანიზმს, რომელიც უფრო მეტი კონტროლის შესაძლებლობას იძლევა.

ცენტრალური რეესტრი არის ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია) სისტემა და ემსახურება ქვემოთ წარმოდგენილი ორგანიზაციების ბენეფიციარი მესაკუთრეებისა და ამ ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენელი პირების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, რომლებიც ინფორმაციას CRBR-ში წარადგენენ.

CRBR-ში ბენეფიციარ მესაკუთრეებზე ინფორმაციის წარდგენისა და განახლების ვალდებულება ეკისრებათ შემდეგ ორგანიზაციებს:

- 01** სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 02** კომანდიტური საზოგადოება;
- 03** კომანდიტური სააქციო საზოგადოება;
- 04** შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კომპანიები;
- 05** მარტივი სააქციო საზოგადოებები;
- 06** სააქციო საზოგადოებები, გარდა 2015 წლის 29 ივლისის ფასიანი ქაღალდების საჯაროდ შეთავაზების, ორგანიზებული ვაჭრობაში ფინანსური ინსტრუმენტების შემოღების მარეგულირებელი პირობებისა და საჯარო კომპანიების შესახებ კანონის მიზნებით საჯარო კომპანიებისა (2020 წლის სამართლის ჟურნალი (Dz.U.), მუხლი 2080, 2021 წლის, მუხლი 355)
- 07** ტრესტები, სადაც ნდობით აღჭურვილ პირებს ან პირებს, რომლებსაც მსგავსი თანამდებობა უკავიათ:
 - a** პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ოფიციალური ადგილსამყოფელი გააჩნიათ, ან
 - b** პოლონეთის რესპუბლიკაში ტრესტის სახელით ბიზნეს ურთიერთობებს აყალიბებენ ან უძრავ ქონებას იღებენ საკუთრებაში;
- 08** ამხანაგობები;
- 09** EEIG - ევროპული ეკონომიკური ინტერესების ჯგუფი;
- 10** ევროპული კომპანიები;

- 11 კოოპერატივები;
- 12 ევროპული კოოპერატივები;
- 13 ასოციაციები, რომლებიც ეროვნულ სასამართლო რეესტრში უნდა დარეგისტრირდნენ;
- 14 ფონდები.

გემოხსენებულ 7-14 პუნქტებში ჩამოთვლილი ქვესაფუძვლები წარმოადგენს 2021 წლის 30 მარტის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონის ცვლილებებით გაფართოებულ კატალოგს.

ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციისთვის, CRBR-ში შემდეგი მონაცემები უნდა იქნეს შეყვანილი:

ორგანიზაციების მონაცემები:

- კომერციული საწარმოს (ბიზნესის) სახელი;
- ორგანიზაციული მოწყობის ფორმა;
- ორგანიზაციის ადგილმდებარეობა და მისამართი;
- სასამართლოს ეროვნული რეესტრის ნომერი;
- გადასახადის გადამხდელის ნომერი (NIP)

ბენეფიციარი მესაკუთრის/წარმომადგენლის მონაცემები:

- სახელი და გვარი;
- მოქალაქეობა;
- საცხოვრებელი ადგილი;
- PESEL ნომერი ან დაბადების თარიღი თუ პირს PESEL ნომერი არ გააჩნია,
- საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის უფლებებისა და აქციების (წილების) ბუნებისა და მოცულობის შესახებ ინფორმაცია.

CRBR-ს ინფორმაცია ყოველგვარი გადასახადის გადახდის გარეშე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარედგინება, სასამართლოს ეროვნულ რეესტრში (ორგანიზაციების ოფიციალური რეესტრი პოლონეთში) კომპანიის შეყვანის დღიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა, ხოლო წარდგენილი ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებიდან 7 სამუშაო დღეში. ორგანიზაციებს, რომლებიც 2019 წლის 13 ოქტომბრამდე უკვე დარეგისტრირებულნი იყვნენ სასამართლოს ეროვნულ რეესტრში, მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარედგინათ რეესტრის შესახებ რეგულაციების ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის ვადაში (2020 წლის 13 აპრილამდე). COVID-19-ის პანდემიის გამო საბოლოო ვადად 2020 წლის 13 ივლისი განისაზღვრა.

შეტყობინება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან ხელმოწერით, რომელიც დასტურდება ePUAP-ის სანდო პროფილით და ის უნდა შეიცავდეს რეესტრში შეტყობინების შემყვანი პირის განცხადებას რეესტრში შეყვანილი ინფორმაციის სანდოობაზე. განმცხადებელმა პირმა განცხადებაში უნდა შეიტანოს შემდეგი პირობა: „ინფორმირებული ვარ ყალბი განცხადების გაკეთების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომის თაობაზე“.

რეესტრი მოქმედებს ფინანსთა მინისტრის უფლებამოსილების ქვეშ, რომელიც ვალდებულია: რეესტრში დამუშავებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის მომზადებაზე; რეესტრში არსებული ინფორმაციის სისწორის უზრუნველსაყოფად ზომების გატარებაზე, მათ განახლებაზე ან გადანაცვებების მიღებით 153-ე მუხლში მითითებული ფულადი ჭარიშების დაკისრებაზე. ეს ნორმა მიუთითებს, რომ ორგანიზაციებს, რომლებსაც რეალური ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის განახლების ან შეტყობინების ვალდებულება 7 სამუშაო დღეში არ შეუსრულებიათ ან რეესტრში ფაქტებთან შეუსაბამო ინფორმაცია წარადგინეს, დაეკისრებათ ფულადი სახის ჭარიშა 1,000,000-მდე პოლონური ზლოტის რაოდენობით (დაახლოებით 250,000 ათასი ევრო).

ვარშავის ადმინისტრაციულმა რეგიონალურმა სასამართლომ თავის გადანაცვებებებში³³ რეესტრის³⁴ გარდა სხვა საკითხებზეც იმსჯელა:

“შეტყობინება მოიცავს წინადადებასაც, რომ არასწორი ფაქტების შემცველი განცხადების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაყენების საფრთხე არსებობს. ამდენად, ამ მუხლის არსიდან გამომდინარეობს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის შეტყობინებაში გაცხადებულია კომპანიების წარმომადგენელი პირების ნება-სურვილი და ცოდნა და ნაჩვენებია კომპანიაზე კონტროლის მქონე პირი, რომელიც ბენეფიციარი მესაკუთრის დეფინიციას შეესაბამება. მაშასადამე, ფინანსთა მინისტრს შეუძლებელია მოეთხოვოს იმის ჩვენება თუ ვინ წარმოადგენს მოცემული კომპანიის ბენეფიციარ მესაკუთრეს (მხოლოდ კომპანიის წარმომადგენელ პირებს აქვთ ცოდნა იმის თაობაზე, ვინ აკონტროლებს კომპანიას) და ამ ნორმის მიზანს სწორედ საზოგადოებისთვის ამ ცოდნის გამჟღავნება წარმოადგენს - ვინაიდან ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრი საჭაროა.”

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე ბენეფიციარი მესაკუთრის განმარტების გაგებასთან დაკავშირებული პრობლემების ნიმუშს წარმოადგენს. სანამ რეესტრში მონაცემების შეყვანის მოთხოვნების დამდგენი კანონი ძალაში შევიდოდა, ბევრი მენარმე შიშობდა, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების სწორად განსაზღვრას ვერ შეძლებდა.³⁵ თუმცა, ფინანსთა სამინისტროსთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, არ ჩანს, რომ ამგვარი პრობლემა ხშირია. ამასთან, სამინისტრო ონლაინ დახმარებს სთავაზობს ორგანიზაციებს რეესტრში ინფორმაციის შეყვანასთან დაკავშირებით. არსებობს კითხვა-პასუხის ფართო სერვისი,³⁶ ასევე შესაძლებელია უფლებამოსილ საჭარო მოხელეებთან კითხვის პირდაპირ გაგზავნა.³⁷

³³ 2020 წლის 9 ნოემბრის გადანაცვებლება, VI SA/Wa 1579/20
³⁴ მხარემ ფინანსთა მინისტრს კონკრეტული ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრა მოსთხოვა მის კომპანიაში.
³⁵ <https://biznes.gazetaprawna.pl/artykuly/1480099,tarcza-antykryzysowa-rejest-beneficjentow-rzeczywistych.html>
³⁶ <https://www.gov.pl/web/finanse/zgloszenie-informacji-do-centralnego-rejestru-beneficjentow-rzeczywistych>
³⁷ <https://www.podatki.gov.pl/crbr/kontakt-crbr/>

ვალდებულების მქონე ორგანიზაციებისთვის დაწესებული ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას, რომელიც ფინანსური უსაფრთხოების სათანადო ზომების გამოყენებას უკავშირდება, ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია წარმოადგენს.

ბენეფიციარი მესაკუთრეების განსაზღვრის მხრივ, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონით, იდენტიფიკაციის პროცესში კომპლექსური შემოწმების/აუდიტის (Due Diligence) მნიშვნელოვანი კონცეფცია დაინერგა, რაც გამოიხატება რისკის შესაფასებლად შესაბამისი შემოწმების ზომების გამოყენებაში, მოცემული ორგანიზაციის სტრუქტურის კონტროლსა და მესაკუთრის გამორკვევაში, შეფასებული ორგანიზაციის მიერ დამყარებული ბიზნეს ურთიერთობის ტიპისა და მიზნების შესახებ მონაცემების შეგროვებაში. შესაძლებელია ასევე სასამართლოს ეროვნულ რეესტრსა და სხვა საჯარო რეესტრებში არსებული კომპანიის მონაცემების ერთმანეთთან შედარება.

ვალდებულების მქონე ინსტიტუტი ვალდებულია მიუთითოს შეუსაბამობებზე რეესტრში დაცულ ინფორმაციასა და იმ ინფორმაციას შორის, რომელიც მან მომხმარებლის ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ გამოარკვია და უნდა გაატაროს ზომები, რომელიც ახსნის ამგვარი შეუსაბამობების მიზეზებს. რეესტრის უმთავრესი მიზანი სწორედ ეს არის. თუმცა, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონში მიღებული ახალი ნორმა აცხადებს, რომ „ვალდებულების მქონე ინსტიტუტები არ უნდა დაეყრდნონ მხოლოდ ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალურ რეესტრში ან 2015/849 დირექტივის 30-ე მუხლში ან 31-ე მუხლში მითითებულ რეესტრში არსებულ ინფორმაციას, რომელიც უფლებამოსილ წევრ სახელმწიფოში ინახება“.

თუ შეუსაბამობები დადასტურდა, ვალდებულების მქონე ორგანიზაციამ რეესტრზე პასუხისმგებელ, უფლებამოსილ ხელისუფლების ორგანოს (ფინანსთა სამინისტრო) უნდა გაუგზავნოს შეუსაბამობების შესახებ დამოწმებული ინფორმაცია ამ შეუსაბამობების მიზეზებთან და ამასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად. დოკუმენტაციისა და მიზეზების წარმოდგენის მოთხოვნა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ დირექტივის შესაბამის ნორმაზე უფრო შორს მიდის. AML (ფულის გათეთრებასთან ბრძოლის) დირექტივის 30.4 მუხლი მხოლოდ შეუსაბამობების შესახებ ინფორმაციის წარდგენას მოითხოვს, პოლონეთის კანონი კი დამატებით მიზეზებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებასაც აწესებს. ეს კანონის მიღების პროცესში გაკრიტიკდა ერთ-ერთ დამსაქმებელთა ასოციაციის³⁸ მიერ, თუმცა მათი აზრი მხედველობაში არ მიღებულა და ხელისუფლებამ განმარტა, რომ ეს ვალდებულებები დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებებს უკავშირდება³⁹

შეუსაბამობების შესახებ შეტყობინება CRBR-ში გამოქვეყნებული შესაბამისი ფორმის მეშვეობით ელექტრონულად წარედგინება.

³⁸ http://konfederacijalewiatan.pl/legislacja/stanowiska/prawo-branzowe/1/_files/2021_03/KL-125-91-AZ-2021-4.pdf

³⁹ [http://orka.sejm.gov.pl/Druki9ka.nsf/Projekty/9-020-382-2021/\\$file/9-020-382-2021.pdf](http://orka.sejm.gov.pl/Druki9ka.nsf/Projekty/9-020-382-2021/$file/9-020-382-2021.pdf)

ფინანსთა მინისტრისა და თანამშრომელი ორგანიზაციების გადაწყვეტილებების რეესტრში შეგროვებული მონაცემები, რომელიც MLA კანონთან⁴⁰ შეუსაბამობის საფუძველზე ჯარიმის დასაკისრებლად გამოცემულ ადმინისტრაციული აქტებს შეეხება, აჩვენებს, რომ 153-ე მუხლის საფუძველზე(იხ. ზემოთ) არც ერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა, რომელიც რეესტრში არსებული შეუსაბამობების გამო ჯარიმას დააკისრებდა (ინფორმაციის წარუდგენლობის ან განუახლებლობის კონტექსტში). ასევე, არ არსებობს მონაცემები სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით იმ პირების მიმართ, რომლებმაც რეესტრში არასწორი მონაცემების წარდგენით ყალბი განცხადება გააკეთეს.

რეესტრი ღიაა და მასზე წვდომა ყველას, ყოველგვარი გადასახადის გადახდის გარეშე შეუძლია. თუმცა, წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ ჩანაწერებზე, ხოლო ზოგიერთი მონაცემების შესახებ გარკვეული ცოდნა აუცილებელია. თუ პირს სურს კონკრეტულ კომპანიაზე ინფორმაციის მოძიება მან უნდა მიუთითოს მისი გადასახადის გადამხდელის ნომერი (NIP). თუ პირი ეძებს კონკრეტულ ბენეფიციარ მესაკუთრეს, მან უნდა იცოდეს მისი PESEL ნომერი ან თუ მას ეს ნომერი არ გააჩნია, სახელი, გვარი და დაბადების თარიღი.

ამ მიზეზებით, საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშში, რომელიც ევროკავშირში⁴¹ რეესტრების ღიაობას შეეხება, პოლონეთის რეესტრი გარკვეული შეზღუდვების მქონედ შეფასდა, თუმცა, მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ის ღია მონაცემების სტანდარტებს არ შეესაბამება.

რაც ასევე მნიშვნელოვანია, გარდა იმისა, რომ სრული მონაცემების გაანალიზების საყოველთაოდ ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ნაკლებობაა, კომპანიის პოვნის შემდგომ, ეკრანზე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემები აღარ ჩანს. მხოლოდ pdf ან XML ფაილად გადმოტვირთვის შემთხვევაში ხდება შესაძლებელი კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეების სახელებზე წვდომა.

⁴⁰ <https://www.gov.pl/web/finanse/sankcje-administracyjne?page=1&size=10>

⁴¹ <https://www.transparency.org/en/news/eu-beneficial-ownership-registers-public-access-data-availability-progress-2021>

Pobierz plik XML Pobierz plik PDF

Dokument pochodzi z Centralnego Rejestru Beneficjentów Rzeczywistych. Organem właściwym w sprawach CRBR jest minister właściwy do spraw finansów publicznych. Dokument nie wymaga dodatkowego podpisu.

Liczba wpisów: 1

Wyszukiwanie

Nazwa	NIP	KRS	Forma organizacyjna	Kod pocztowy	Miejscowość	Ulica
"CARREFOUR POLSKA" SPÓŁKA Z OGRANICZONĄ ODPOWIEDZIALNOŚCIĄ	9370008168	0000020710	117 - Spółka z ograniczoną odpowiedzialnością	03-734	WARSZAWA	TARGOWA

1

ტექნიკური სირთულეების მიუხედავად, ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ რეესტრი გამჭვირვალე მონაცემთა ბაზის ნიმუშად რჩება. ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, და ხშირად, უფრო მეტად პროგრესულიც. მაგალითად, რეესტრის სტრუქტურა და გამჭვირვალობა სცილდება FATF-ის 25-ე რეკომენდაციის მოთხოვნებს, რომელიც მიუთითებს, რომ „ქვეყნებმა უნდა განიხილონ ბენეფიციარი მესაკუთრეებისა და კონტროლის შესახებ ინფორმაციაზე უფრო მარტივად წვდომის ზომების შემოღების შესაძლებლობები ფინანსური ინსტიტუტებისა და არასაფინანსო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კომპანიებისა და პროფესიებისთვის (DNFBP), რომლებიც მე-10 და 22-ე რეკომენდაციებით დადგენილ მოთხოვნებს ასრულებენ.“

ამასთან, პოლონეთში გატარებული რეესტრის მოდელმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საზოგადოების მიერ კონტროლის განხორციელება უზრუნველყო. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობა მონაცემთა ანალიზის პროცესში გარკვეულ დაბრკოლებებს ხედავს, ზემოხსენებულ ანგარიშში ეს მოდელი მაინც პროგრესულად შეფასდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთი ერთ-ერთია ევროკავშირის იმ მცირე ქვეყანათა შორის, სადაც ორგანიზაციების რეესტრზე წვდომა (ოფიციალურად, სასამართლოს ეროვნული რეესტრი) ღია, უფასო და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამ მიზეზით, ფართო საზოგადოებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ან მონიტორინგის განმახორციელებელ სხვა სუბიექტებს შეუძლიათ ადვილად შეაფასონ, თუ ვინ არიან კონკრეტული კომპანიის მფლობელები და წარმომადგენლები. გარდა იმისა, რომ 2019 წლიდან ყველა კომპანიის ფინანსური ანგარიში სასამართლო ეროვნულ რეესტრში ელექტრონული ფორმით ქვეყნდება, დაფინანსების წყაროებზე და ბენეფიციარ მესაკუთრეებზე კონტროლი ეფექტურად შეიძლება შეფასდეს.

პოლონეთში ცვლილებების შემოღება, რამაც შეიძლება ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობა გაზარდოს, არ იგეგმება. ახლახან მიღებული ფულის გათეთრებისა და ტერორისტების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სამთავრობო სტრატეგია⁴² მომდევნო ორი წლის მანძილზე ამგვარ ნაბიჯებთან დაკავშირებით არაფერს ამბობს.

⁴² <https://isap.sejm.gov.pl/isap.nsf/download.xsp/WMP20210000435/O/M20210435.pdf>



პრაქტიკა და ბენეფიციარ მესაკუთრეთა გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა

ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობის პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები არ გამოჩნდებულა. ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით თავდაპირველად არსებული ბუნდოვანების გარდა, ზოგიერთმა მენარმემ მისი აუცილებლობის საკითხი წამოჭრა მაშინ, როცა სასამართლოს ეროვნულ რეესტრში მსგავსი ინფორმაცია უკვე საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი.

ზოგადად, ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ ინფორმაციის რეალურობის გადამოწმება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის ადგილსამყოფელი საზღვარგარეთ არის. ყველა ქვეყანა არ უზრუნველყოფს ვალდებულების მქონე ორგანიზაციებს ან სამთავრობო დაწესებულებებს იმგვარი სერვისებით, როგორცაა ორგანიზაციების ღია რეესტრები, რომლებიც მათ რეესტრში არსებული მონაცემების სხვა წყაროებთან შეპირისპირების შესაძლებლობას მისცემდა.

ევროკავშირი ამჟამად ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ IV დირექტივის განხორციელებასთან დაკავშირებით შეფასებას ამზადებს, თუმცა შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა (2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით)⁴³.


რეესტრს ყველაზე ხშირად ვალდებულების მქონე ორგანიზაციები იყენებენ, რომლებსაც ასეთი მოთხოვნა კანონის შესაბამისი ნორმებით აქვთ დაწესებული. ამის გამო, ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობა, ყოველ შემთხვევაში ამ დრომდე, ყველაზე დიდ გავლენას ფინანსურ სექტორზე ახდენს.

ბენეფიციარი მესაკუთრებისა და მისი გამჭვირვალობის თემა ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ფართოდ არ არის აღიარებული. ასევე არ ჩატარებულა გამოკითხვები ან სხვა სახის კვლევები ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობის მიმართ საზოგადოების ფართო წრის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. პოლონეთი პანამის დოკუმენტების სკანდალში არ გახვეულა, ამდენად, ჯგუფების ინტერესი, რომლებიც კორუფციის რისკებს აკონტროლებენ, მცირეა. მხოლოდ ePaństwo Foundation-მა გამოიყენა რეესტრის მონაცემები, საკუთარ rejestr.io პორტალში შესაყვანად, რომელიც კომპანიების საქმიანობის შესახებ მონაცემების ღიაობას უზრუნველყოფს. ePaństwo Foundation მონაცემებს იმის გამო აგროვებს (scraping), რომ ოფიციალური ICT სისტემა დიდი მოცულობის (bulk) მონაცემებზე დაუყონებლივ წვდომის შესაძლებლობას არ იძლევა. თუმცა, ეს მონაცემები რაიმე დარღვევების გასაანალიზებლად ამ დრომდე არ გამოყენებულა.



rejestr.io-დან მოცემული მაგალითი, საერთაშორისო კომპანიის მაგალითზე, რომლის ადგილსამყოფელიც პოლონეთშია, აჩვენებს თუ როგორ შეიძლება იყოს ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ოფიციალურ რეესტრშიც:


⁴³ <https://rm.coe.int/amld-project-summary-jun21/1680a2e05c>

BENEFICJENCI RZECZYWIŚCI

 **Tareck Ouaibi**

WICEPREZES ZARZĄDU (TJ. OSOBA FIZYCZNA ZAJMUJĄCA WYŻSZE STANOWISKO KIEROWNICZE ZG. Z ART. 2 UST. 2 PKT 1 LIT. A TIRET 5 UPPPOFT)

Obywatelstwo  Rezydencja 



გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობასთან მიმართებით ჯერ კიდევ არსებობს, ღია მონაცემის სტანდარტების არარსებობისა და რეესტრში არსებული მონაცემების სხვა ქვეყნების მონაცემებთან შეპირისპირების შეზღუდულ შესაძლებლობებს უკავშირდება.



რეკომენდაციები



ტექნიკური ასპექტები. ადრესატი: ფინანსთა მინისტრი

ბენეფიციარი მესაკუთრეების ცენტრალურ რეესტრში ღია მონაცემების სტანდარტების დანერგვა.



მონაცემთა მონიტორინგი. ადრესატები: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ჟურნალისტები

ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და მონაცემთა ანალიზის ჩატარება.



სხვა რეესტრებთან ურთიერთთანამშრომლობა, ადრესატი: ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო

ბენეფიციარი მესაკუთრეების, კომპანიების რეესტრის (სასამართლოს ეროვნული რეესტრი) და ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციისა და ცენტრალური რეესტრის შესახებ მონაცემთა ბაზების ერთმანეთთან დაკავშირება.



სლოვაკეთი

შეჯამება⁴⁴

- ❖ სლოვაკეთში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მთავარ საკანონმდებლო აქტს დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად ფულის გათეთრებისგან დაცვის შესახებ კანონი (N 297/2008 Coll., განსაკუთრებით კი N52/2018 Coll. კანონით შესული ცვლილებები) წარმოადგენს. ეს კანონი სარგებლის საბოლოო მომხმარებლის კომერციულ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებას ადგენს. თუმცა, ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.
- ❖ ხელისუფლება ბენეფიციარ მესაკუთრეებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ბენეფიციარი მესაკუთრეების სექტორული საჯარო რეესტრის მეშვეობით, ე.წ. RPVS რეესტრით უზრუნველყოფს. ის შეიცავს მხოლოდ იმ კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც საჯარო დაფინანსებას იღებენ ან მთავრობასთან ბიზნესს აწარმოებენ.
- ❖ საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრი ასევე შეიცავს ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას. ამ რეესტრმა რამდენიმე გახმაურებულ საქმეს დაუდო საფუძველი, რა დროსაც კომპანიებს საჯარო სექტორთან თანამშრომლობის შესაძლებლობა აღარ მიეცათ, ხოლო ზოგიერთი ბენეფიციარი მესაკუთრე იძულებული გახდა მისი მესაკუთრეობა საჯარო გაეხადა.
- ❖ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სლოვაკეთის კანონმდებლობა არ შეიძლება ამომწურავად და მეოთხე დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისად ჩაითვალოს.

⁴⁴ აღნიშნული თავი მომზადებულია IDFI-ის პარტნიორი ორგანიზაციის, KohoVolit.eu (სლოვაკეთი)-ის მიერ.



შესავალი

No. 52/2018 Coll. კანონში (რომლითაც ცვლილებები შევიდა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლისგან დაცვისა და ტერორიზმის დაფინანსებისაგან დაცვის, ასევე ცალკეულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ No. 297/2008 Coll. კანონში) აისახა დანაშაულებრივი საქმიანობისგან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებისგან დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2015 წლის 20 აპრილის (EU) 2015/849 დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა 648/2012 რეგულაციისა და გაუქმდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივა და 2006/70/EC კომისიის დირექტივა ("ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მეოთხე დირექტივა").

კანონი სლოვაკეთის რესპუბლიკაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ზომების გატარების შესახებ მეოთხე შეფასებითი ანგარიშიდან ევროპის საბჭოს Moneyval-ის კომიტეტის რეკომენდაციებს და 2012 წლის თებერვლის FATF-ის (ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი G7)-ის შესწორებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებს, რომელიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მიმდინარე მოვლენებს პასუხობს.

კანონი ასევე აღასრულებს No1781/2006 რეგულაციის გაუქმებისა და თანხის გადარიცხვის თანხლები მონაცემების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 20 მაისის N2015/847 რეგულაციას. გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონი პასუხობს პრაქტიკული გამოყენების პირობებს.

კანონში გათვალისწინებულ იქნა ასევე სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის პროგრამაში ასახული განცხადება, რომელშიც მთავრობამ მხარდაჭერა გამოხატა იმ ღონისძიებებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მეშვეობითაც ტერორისტული საქმიანობის მხარდაჭერისა და დაფინანსებისკენ მიმართული სახსრები და სხვა აქტივების გამოვლენა და შეზღუდვა შესაძლებელი იქნება მაქსიმალურად ეფექტიანად. ასევე გამოთქვა მზაობა შეძლებისდაგვარად გამოიყენონ ზომები, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციების მონიტორინგს უწყობენ ხელს, ამ უკანასკნელის დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან ასაცილებლად და ტერორისტული ორგანიზაციების შემოსავლის წყაროების შეზღუდვის მიზნით.

კანონს მხარი დაუჭირეს სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს პარტიათა უმრავლესობის დეპუტატებმა, კენჭისყრაში მონაწილეობისგან მხოლოდ OľaNO-სა და L'S Naše Slovensko-ის დეპუტატებმა შეიკავეს თავი.



კანონმდებლობა

სლოვაკეთის საკანონმდებლო სივრცეში მხოლოდ ორ კანონშია საუბარი სარგებლის /მოგების საბოლოო მომხმარებელზე. პირველი, ეს არის ფულის გათეთრებისგან დაცვის შესახებ No. 297/2008 Coll. კანონი, ხოლო მეორე - საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრის შესახებ No315/2016 Coll. კანონი.

ეს კანონები განმარტებებში აღწერენ პირებს, სადაც ისინი საბოლოო ბენეფიციარებს ადგენენ. ზემოხსენებული მეორე კანონი ამ პირის განსასაზღვრად მითითებას პირველ კანონზე აკეთებს, თუმცა, პრაქტიკაში, საბოლოო ბენეფიციარის ქვეშ იგულისხმება პირი, რომელიც სახელმწიფოსთან ვაჭრობს და ვაჭრობის საბოლოო სარგებელს იღებს.

მარტივად რომ ვთქვათ, საბოლოო ბენეფიციარია:

- პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან კონტროლდება ბიზნეს სუბიექტის ან საკუთრების მქონე სუბიექტის მიერ, თუმცა, რომელსაც მასზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია;
- პირი, რომლის სასარგებლოდ სამენარმეო, შემოსავლის მომტანი ან კომერციული საქმიანობა ხორციელდება ან რომელსაც ამ საქმიანობებისგან ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება გააჩნია;
- პირი, რომელიც ბიზნეს სუბიექტის სააქციო კაპიტალში წილებს ან ხმის მიცემის უფლებებს ფლობს და რომელსაც ამ სუბიექტის საქმიანობებზე რეალური გავლენის მოხდენა შეუძლია
- პირი, რომელსაც უფლება აქვს დაამტკიცოს, განსაზღვროს ან დაითხოვოს ბიზნეს სუბიექტის მაკონტროლებელი და მმართველი ორგანოები

როგორც წესი, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირია, ამდენად, ის არ შეიძლება კომპანიას ან იურიდიულ პირს წარმოადგენდეს. საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა მნიშვნელოვანია იმ პირის განსასაზღვრად, რომელიც ბიზნესიდან სარგებელს იღებს.

ამ მხრივ, უმთავრესად ცნობილია იმ ბიზნესების რეალური მესაკუთრეების საკითხი, რომლებიც გარკვეულწილად სახელმწიფოსთან არიან დაკავშირებულნი. ასეთ შემთხვევაში, საიდენტიფიკაციო მონაცემები საჯარო რეესტრში შეიტანება და შეიძლება ნებისმიერ დროს გადამოწმდეს. ეს შესაძლებელს ხდის იმის გამორკვევას, თუ ვინ დგას კომპანიის ან ბიზნესის უკან.

NO. 297/2008 COLL. დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად ფულის გათეთრებისგან დაცვის შესახებ კანონი

კანონის მომზადება: პროფესიული კავშირების, კერძოდ, სლოვაკეთის საბანკო ასოციაციის, სლოვაკეთის სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის, სლოვაკეთის კომპანიების მმართველობის ასოციაციის, სლოვაკეთის უძრავი ქონების სააგენტოების ეროვნულ ასოციაციისა და ფინანსური მედიაციისა და ფინანსური კონსულტაციების ასოციაციების,

ფასიანი ქაღალდით მოვაჭრეთა ასოციაციის, სლოვაკეთის ადვოკატთა ასოციაციის, საგადასახადო მრჩეველთა პალატის, სლოვაკეთის აუდიტორთა პალატის, სლოვაკეთის ნოტარიუსთა პალატის, დამსაქმებელთა რესპუბლიკური კავშირის, დამსაქმებელთა ასოციაციის, სლოვაკეთის რესპუბლიკის დამსაქმებელთა კავშირებისა და ასოციაციების ასოციაციის, ინდუსტრიული კავშირების ასოციაციის, სლოვაკეთის ვაჭრობისა და ინდუსტრიის პალატის, კლუბ 500-ისა და უკეთესი რეგულირებისთვის ცენტრის წარმომადგენლებს კანონთან დაკავშირებით გაეწიათ კონსულტაციები.

კონსულტაციები სლოვაკეთის საბანკო ასოციაციასთან და სლოვაკეთის სადაზღვევო კომპანიების ასოციაციასთან 2016 წლის ივნისის თვეში სემინარის (ტრენინგის) სახით დაიწყო და კონსულტაციების ხანგრძლივობამ დაახლოებით 3 საათი შეადგინა. შემდგომში, 18.07.2016 წლიდან კონსულტაციები ზემოაღნიშნულ სუბიექტებთან ელექტრონული კომუნიკაციის ფორმით გაგრძელდა. კონსულტაციის დროს წამოჭრილ ძირითად საკითხებზე კომენტარის გაკეთების ვადად 27.07.2016 წელი განისაზღვრა და 17.08.2016 წლამდე მანამდე დაკავშირებული სუბიექტებიდან კომენტარი მხოლოდ სამმა გააკეთა. სლოვაკეთის სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის წარმომადგენლებს არაერთხელ ჩაუტარდათ კონსულტაცია, რაც მინიმუმ 1 საათს გრძელდებოდა. კონსულტაციების დაწყებამდე No 297/2008 კანონის ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებით შეხვედრები და მოლაპარაკებები გაიმართა სლოვაკეთის ეროვნულ ბანკთან, რომელიც ფინანსურ სექტორში ვალდებულების მქონე პირთა უმრავლესობის ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენს.

კანონის მე-6 ნაწილი. ამ შემთხვევაში იგი საბოლოო ბენეფიციარს მისი ფორმის მიხედვით განასხვავებს, ესე იგი არის ის იურიდიული პირი, ინდივიდუალური მენარმე თუ აქტივების საერთო ფონდი.

ზოგადად, **საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე არის ნებისმიერი ფიზიკური პირი**, რომელიც იურიდიულ პირს, მენარმე ფიზიკურ პირს ან აქტივების საერთო ფონდს/ერთობას აკონტროლებს ან ეფექტურად აკონტროლებს. ის არის ასევე ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის სასარგებლოდაც ეს სუბიექტები ვაჭრობენ ან საქმიანობას ახორციელებენ, სხვა სიტყვებით, ეწევიან მოგებაზე ორიენტირებულ და სამენარმეო საქმიანობას.

იურიდიული პირების შემთხვევაში, ის არის ფიზიკური პირი, კერძოდ, რომელსაც:

- გააჩნია პირდაპირი ან არაპირდაპირი (ან ორივე ერთად), ხმის უფლებათა მინიმუმ 25%-იანი წილი იურიდიულ პირში ან მის სანესდებო კაპიტალში (სანარმდგენლო აქციების ჩათვლით).
- გააჩნია იურიდიული პირში ოფიციალური ორგანოს, მმართველი ორგანოს, ზედამხედველი ორგანოს, მაკონტროლებელი ორგანოს ან მათი ნებისმიერი წევრის განსაზღვრის, სხვაგვარად დამტკიცების ან დათხოვნის უფლება
- შეუძლია გააკონტროლოს იურიდიული პირი ზემოხსენებული შესაძლებლობების გარდა სხვა გზებით, თუმცა, ისე რომ დასტურდებოდეს მიზგზობრივი კავშირი
- უფლება აქვს იურიდიული პირის ბიზნეს ან სხვა საქმიანობებისგან არანაკლებ 25%-იანი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს, მაგალითად, თუ ეს არის მომგებიანი საქმიანობა.

მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში, საბოლოო ბენეფიციარი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს ფიზიკური პირის სამეწარმეო ბიზნესიდან მინიმუმ 25%-იანი ეკონომიკური სარგებელი. თუმცა, მან ასევე შეიძლება მიიღოს 25%-იანი სარგებელი მისი სხვა საქმიანობებიდან.

კანონი იმ შემთხვევასაც ითვალისწინებს, როცა ფიზიკური პირი კანონით დადგენილ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს. ამ დროს ის პირთა იერარქიაში სვლას განაგრძობს.

ამ შემთხვევაში საბოლოო ბენეფიციარებად ითვლებიან ხელმძღვანელობის წევრები. საბოლოო მომხმარებელი შეიძლება იყოს ასევე პირი, რომელიც, მართალია, თავად არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ პირობებს, მაგრამ ამ პირობათაგან რამდენიმე სხვა პირის მეშვეობით უკვე შეასრულა.

საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის კომერციულ რეესტრში შეტანის ვალდებულება ახალი არ არის. იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, მოთხოვნის შესრულების ვადა 2019 წლის 31 დეკემბერს ამოეწურათ. ეს წესი მანამდე დაფუძნებულ ორგანიზაციებზე ვრცელდებოდა. თუ ეს მოთხოვნა დადგენილ ვადაში არ შეუსრულებიათ მათ შეიძლება ჯარიმა დაეკისროთ. ჯარიმა, რომლის რაოდენობაც მაქსიმუმ 3 310 ევროა, შეიძლება სასამართლომ დააკისროს როგორც იურიდიულ, ისე შესაბამის ფიზიკურ პირებს.

ამჟამად, კომერციულ რეესტრში ახალი ორგანიზაციის დარეგისტრირებაზე განაცხადის წარდგენის პირობად სარგებლის მიმღები საბოლოო მომხმარებლის მითითებას კანონი პირდაპირ ითვალისწინებს.

საკაჭრო რეესტრი

No. 503/2003 Coll. No. 52/2018 Coll. კანონის ცვლილებები

01.11.2018 წლიდან, კომერციულ რეესტრში, მანამდე არსებული მონაცემების გარდა, შეიტანება სარგებლის მიმღები საბოლოო მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებიც. ეს ინფორმაცია საჯარო არ არის.

საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრი

საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრის შესახებ No. 315/2016 Coll. კანონი.

საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრის შესახებ No. 315/2016 Coll კანონის შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ფულად სახსრებს, ქონებას ან ქონებაზე უფლებებს იღებენ საჯარო წყაროებიდან - სახელმწიფო, მუნიციპალიტეტები, რეგიონალური ხელისუფლებები და სხვა მათ დაფინანსებაზე მყოფი იურიდიული პირები - არიან საჯარო სექტორის პარტნიორები.

საჯარო სექტორის პარტნიორების მსგავსად, საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრში ასევე მოიცავს სარგებლის მიმღებ საბოლოო მომხმარებლებზე ინფორმაციას. სარგებლის მიმღები საბოლოო მომხმარებლები არიან პირები, რომლებიც აკონტროლებენ ან რეალურად აკონტროლებენ იურიდიულ პირს, აქტივთა ერთობას ან ფიზიკურ პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, ან პირებს, რომელთა სასარგებლოთაც ეს სუბიექტები გარიგებებს ან ბიზნეს საქმიანობებს ახორციელებენ.

შეჯამება

სლოვაკეთის კანონმდებლობა, რომელიც ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეგისტრაციას არეგულირებს, ყოველმომცველად და მეოთხე დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისად ვერ ჩაითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრის შესახებ N 315/2016 Coll. კანონი, ხშირად, მითითებულია როგორც კანონი, რომელიც დირექტივის დებულებებს მოიცავს, რეალურად, დირექტივას სლოვაკეთში ცვლილებების შესახებ No. 52/2018 Z. z. კანონი ასახავს, რომელიც საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის სლოვაკეთის კომერციულ რეესტრში დარეგისტრირების ვალდებულებას ადგენს (სლოვაკეთის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ No. 297/2008 Z. z. კანონის 10ა მუხლი, სლოვაკეთის კომერციული რეესტრის შესახებ No. 530/2003 Z. z. კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად)

ინფორმაცია საჯარო არ არის და ამ ვალდებულების დარღვევა ისჯება ფულადი ჯარიმით, რომელიც მაქსიმუმ 3 310 ევროს შეადგენს. ამჟამად, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015/849 დირექტივის არასრულყოფილად ასახვის გამო, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ მეოთხე დირექტივის 31 მუხლსაც შეეხება, სლოვაკეთის რესპუბლიკის საქმეს ევროკომისია განიხილავს.

პრაქტიკა

სარგებლის მიმღები საბოლოო მომხმარებლის ვინაობა ცნობილია, რაც უზრუნველყოფილია მისი კომერციულ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულებით. ყველა სუბიექტი ვალდებულია საბოლოო მომხმარებელი რეესტრში დაარეგისტრიროს, თუმცა, ეს პირი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ საჯარო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უფლება ნახოს ორგანიზაციის სარგებლის მიმღები საბოლოო მომხმარებელი.

თუმცა, დადგენილია მნიშვნელოვანი გამონაკლისი წესიდან: კომპანიები, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობენ. ხელისუფლება ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის ბენეფიციარ მესაკუთრეთა სექტორული საჯარო რეესტრის მეშვეობით, ე.წ. RPVS რეესტრი. ის შეიცავს იმ კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც საჯარო დაფინანსებას იღებენ ან მთავრობასთან ბიზნესს აწარმოებენ. რეესტრის მისამართია: <https://rpvs.gov.sk/rpvs>.

ამ კომპანიებთან ერთად, არასაინვესტიციო ორგანიზაციებს, საერთო სარგებლობის სერვისების უზრუნველყოფ ან არაკომერციულ ორგანიზაციებს და ფონდებს საბოლოო ბენეფიციარების დარეგისტრირების ვალდებულება ეკისრებათ.

ამასთან დაკავშირებით, მონაცემებს, რომელიც შენახული უნდა იყოს წარმოადგენს:

- **სახელი და გვარი:** საბოლოო ბენეფიციარების რეესტრებში სტანდარტული ჩანაწერია იმ ფიზიკური პირის სახელი და გვარი, რომელიც საბოლოო ბენეფიციარად ჩაითვლება.
- **დაბადების მონომობის ნომერი და თარიღი:** მნიშვნელოვანი საიდენტიფიკაციო მონაცემებს წარმოადგენს პირის დაბადების მონომობის ნომერი და დაბადების თარიღი. ეს მონაცემები თითოეული ადამიანისთვის უნიკალურია, ამიტომ მათი ჩანაწერით შეიძლება 100%-იანი სანდოობით იმ ფიზიკური პირის განსაზღვრა, რომელიც ბენეფიციარი მესაკუთრეა.
- **მისამართი:** მისამართი არის შემდეგი მონაცემი, რომელიც უნდა ჩაიწეროს. როგორც წესი, აქ იგულისხმება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი. თუმცა, ეს აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს. ეს ასევე შეიძლება იყოს სხვა საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სადაც ინდივიდთან დაკავშირება შესაძლებელია.

ეროვნება და სამართლებრივი სტატუსი: იმ მონაცემებს შორის, რომლის შეტანაც უნდა მოხდეს, პირის ეროვნება ასევე მნიშვნელოვანი იდენტიფიკატორია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება შემოსავლის გათვრებაში ეჭვმიტანილ პირთან მიმართებით, თუნდაც იმის გასაგებად, თუ რომელი ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება საბოლოო მომხმარებელი. თუ ფიზიკური პირი არის საჯარო მოხელე სლოვაკეთის რესპუბლიკაში, ეს ინფორმაცია ასევე შეიტანება.

- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი:** ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის დადასტურების პროცესში, მონაცემების სისწორის შედარება ხდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან.
- **საბოლოო ბენეფიციართან დაკავშირებული მონაცემები:** ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ფიზიკური პირის საბოლოო ბენეფიციარად რეგისტრირება ხდება. ეს გულისხმობს იმ პირობის დაკმაყოფილებას, როგორცაა აქციების, სააქციო კაპიტალის ან აქციების ორგანიზაციაზე სხვა ტიპის კონტროლის ქონა.



ბენეფიციარი მესაკუთრეთა გააქტიურების სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა

საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრმა დახურა რამდენიმე კომპანია, რომელსაც სახელმწიფოსთან ბიზნეს საქმიანობა აკავშირებდა. მიზეზი მესაკუთრეების გარშემო არსებული გაურკვევლობა იყო. ზოგიერთი ოლიგარქი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ სახელმწიფო კონტრაქტებთან შემხებლობაში მყოფი კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეები იყვნენ.

რეესტრის სამწლიანი ფუნქციონირების შედეგად, სლოვაკეთში ბიზნესში მოღვაწე რამდენიმე გავლენიან, სახელგანთქმულ პირს, მოუწია ელიარებინა იმ კომპანიებში მათი მონაწილეობა, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობდნენ. ზოგ კომპანიას გაუუქმდა რეგისტრაცია, ვინაიდან სასამართლოს მათი მესაკუთრეობა ვერ დაუდასტურეს.

STARLAND ჰოლდინგი - ბრანო კრიელოჟნი

Starland ჰოლდინგის აქტივების ღირებულება მას შემდეგ გაიზარდა, რაც ეროვნულმა საავტომობილო გზის კომპანიამ D1 მაგისტრალის პროექტ Triblavina-ში ცვლილებები შეიტანა. Starland ჰოლდინგის მესაკუთრეობის საკითხი დიდი ხანია კითხვებს წარმოშობს. თუმცა, ბედნარი, რომელიც კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო, რეესტრში სარგებლის მიმღებ საბოლოო მომხმარებლად ფიქსირდებოდა. თუმცა, გასულ წელს გაირკვა, რომ რეალური ბენეფიციარი ფინანსურ ჯგუფ Istrokapital-ის თანადამფუძნებელი, მილიარდელი ბრანო პრიელოჟნია.

ANEXT (LEIKTEC)

სასამართლომ საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრიდან ამოიღო მსხვილი IT კომპანია Anext, რომელიც მოგებას ძირითადად სახელმწიფოსთან ბიზნეს საქმიანობით იღებს. Anext (ამჟამად LeikTec) საეჭვო eHealth და slovensko.sk პროექტებში იყო ჩაბმული. წლების განმავლობაში კომპანია ასოცირდებოდა ყოფილ მინისტრ პოჩიატეკთან და ოლიგარქ ბრჰელთან, რომელიც Smer-SD-ს დამფინანსებლად ითვლება.

რეესტრიდან Anext მას შემდეგ წაიშალა, რაც სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ რეესტრში შეტანილი წყვილი - ჯოზეფ ჩამრაზი და კატარინა ჰაჯდუოვა, კომპანიის საბოლოო მომხმარებლები იყვნენ. კომპანიამ მათ ანგარიშებზე რაიმე შემოსავლის გადახდის დამადასტურებელი სანდო მტკიცებულება ვერ წარადგინა. პირიქით, Anext-ის ფულის საბოლოო დანიშნულების ადგილი კვიპროსული კომპანია იყო.

BARCLET

ანალოგიური შეემთხვა კიდევ ერთ ჩეხურ IT კომპანია Barclet-ს, რომელსაც პოჩიატეკთან და ბრჰელთან არის დაკავშირებული. სააქციო საზოგადოებამ, რომელიც ცნობილია განათლების სამინისტროსთან ტელეკონფერენციის პროგრამული უზრუნველყოფის 16 მილიონი ევროს ღირებულების ხელშეკრულების გაფორმებით, სასამართლო ვერ დაარწმუნა, რომ მისი რეალური მესაკუთრე ჩეხი საგადასახადო კონსულტანტი ილონა ვოშვრდოვა პრშტევა იყო. მას სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმება აღარ შეუძლია.

INFRA SERVICES - იპა6 კომპირიკი

მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად ურბანულ ფირმა Infra Services-ს საჯარო ხელშეკრულებების გაფორმებით გზით მოგების მიღება შეუძლია, ოლიგარქ ივან კმოტრიკს მოუწია ელიარებინა, რომ ის საბოლოო მესაკუთრეს წარმოადგენს. ეს სასამართლო სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა.

სასამართლო სხდომამდე ერთი დღით ადრე, კმოტრიკმა განაცხადა, რომ მან Infra Services-ის აქციები იყიდა. შემდგომ ოლიგარქმა განაცხადა, რომ ბრატისლავას წყალმომარაგებიდან მოგების მიღების ფაქტი მას არასოდეს დაუმალავს.

Infra Services, სადაც კმოტრიკი წილების უმცირესობას ფლობს, ხოლო დარჩენილი 51 პროცენტი ბრატისლავას წყალმომარაგების კომპანიას (BVS) ეკუთვნის, წლების განმავლობაში კრიტიკის სამიზნე იყო. ამის მიზეზი რამდენიმე კერძო კომპანიასთან გაფორმებული სადავო ხელშეკრულებებია, რომლებიც მილიონები ღირს.

JHS - ჯოზეფ ჰოლიენჩიკი

JHS-ს - კომპანიას, რომელიც დაკავშირებულია ქსელური ინდუსტრიების რეგულირების სამსახურის (ÚRSO) ყოფილ ხელმძღვანელთან, ჯოზეფ ჰოლიენჩიკთან, ასევე მოუხდა სახელმწიფოსთან ბიზნეს საქმიანობის დასრულება. ჰოლიენჩიკი თავად მუშაობდა ამ კერძო კომპანიაში, თუმცა, მას შემდეგ რაც ÚRSO-ს შეუერთდა, მან ის ოფიციალურად დატოვა.

ექსპერტულმა კომპანიამ, რომლის სახელიც, სავარაუდოდ, Jozef Holjenčik Systems-ის აბრევიატურას წარმოადგენს, ჰოლიენჩიკის წასვლის შემდეგ სახელმწიფოსგან ასობით ათასი დოლარის ხელშეკრულებები მიიღო. შტეფან ვარგა, რომელიც JHS-ის ერთადერთი ოფიციალური აქციონერია, რეესტრში საბოლოო ბენეფიციარად იქნა დარეგისტრირებული.

სასამართლომ განხილვისას როცა დაადგინა, რომ ვარგა JHS-ის რეალური ბენეფიციარი არ იყო, ის რეესტრიდან წაშალა.

UNICREDIT BANK CZECH AND SLOVAKIA ჩეხეთისა და სლოვაკეთის UNICREDIT ბანკი

ჩეხეთისა და სლოვაკეთის Unicredit ბანკი ადრე საჯარო სექტორის პარტნიორი იყო. სასამართლომ რეესტრიდან ის 2018 წელს ამოიღო. მიზეზი ბანკის მიერ სარგებლის მიმღებ საბოლოო მომხმარებლებად მხოლოდ სლოვაკეთის ფილიალის ხელმძღვანელობის წევრების დასახელება იყო. რეესტრი ასახული უნდა ყოფილიყო ჩამოთვლილი უცხოური მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობის წევრებიც, ვინაიდან ის საერთაშორისო კომპანიას წარმოადგენს. სლოვაკეთში საჯარო სექტორის პარტნიორების რეესტრთან დაკავშირებით, ეს პირველი ამგვარი შემთხვევა იყო.



რეკომენდაციები



ხელისუფლებამ/ეროვნულმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს საბოლოო მესაკუთრების რეესტრში განთავსებულ, სულ მცირე, ძირითად ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა



კომპანიების შესახებ ძირითადი ინფორმაცია საჯაროდ და უფასოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მთელ ევროკავშირში (იხ. პრობლემური ფიქტიური ე.წ. shell კომპანიები კვიპროსში)



გამოყენებული ლიტერატურა

01

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018/843 დირექტივა: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32018L0843&qid=1626044899667>

02

სლოვაკეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო: საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრი <https://rpvs.gov.sk/>

03

სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო: მთავრობის კანონპროექტი დანაშაულისგან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებისაგან დაცვის შესახებ No. 297/2008 Coll. კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, განსაზღვრულ კანონებში შეტანილი ცვლილებების და დამატებების შესაბამისად

<https://www.nrsr.sk/web/Default.aspx?sid=zakony/zakon&MasterID=6594>

04

სლოვაკეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო: მთავრობის კანონპროექტი დანაშაულისგან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებისაგან დაცვის შესახებ No. 297/2008 Coll. კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, განსაზღვრულ კანონებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესაბამისად (757 ბეგდური გამოცემა) - მესამე მოსმენა. მთლიანი კენჭისყრა კანონპროექტზე

<https://www.nrsr.sk/web/Default.aspx?sid=schodze/hlasovanie/hlasklub&ID=39726>

05

კანონი, რომლითაც ცვლილებები შევიდა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლისგან დაცვისა და ტერორიზმის დაფინანსებისაგან დაცვის, ასევე ცალკეულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ No. 297/2008 Coll. კანონში, შესწორებული

<https://www.zakonypreludi.sk/zz/2018-52>

- 06** განსაზღვრულ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და საჯარო სექტორის პარტნიორთა რეესტრის შესახებ No. 315/2016 Coll. კანონი
<https://www.zakonypreludi.sk/zz/2016-315>
- 07** Foaf.sk: უპირატესობები საბოლოო მომხმარებლისთვის, ვინ არიან ისინი და რომელ რეესტრებში შეიძლება მათი პოვნა <https://foaf.sk/clanky/konecny-uzivatel-vyhod/>
- 08** Aktuality.sk: ვისი ინტერესების სანინააღმდეგოდ მოქმედებს ქურდობასთან ბრძოლის რეესტრი? ოლიგარქებთან კავშირების მქონე კომპანიებს სახელმწიფოსთან ბიზნეს-საქმიანობის დაჭერა ეკრძალებათ
- 09** <https://bit.ly/30cHJZF>
- 10** JUDr. Ivan Heger: კომერციული რეესტრი
- 11** <http://konecnyuzivatelvyhod.sk/obchodny-register.html>
- 12** Camera di commercio Italo-Slovacca: კომპანიამ მისი ყველა საჯარო კონტრაქტი დაკარგა
<https://bit.ly/3n4mbXx>
- 13** Aktuality.sk: Štát rozširuje diaľnicu neďaleko Bratislavy. V pozadí sa vynorila J&T
<https://bit.ly/31S4u5u>
- 14** Aktuality.sk: Miliónová IT firma Anext nedokázala preukázať, kto je jej skutočným užívateľom výhod
<https://bit.ly/3ofXuXK>
- 15** Aktuality.sk: Privatizácia vodární: zmluva naznačuje, že Kmotrík sa skryl za biele kone
<https://bit.ly/3ombJdm>



ჩახეი

შეჯამება ⁴⁵

- ❖ ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეგისტრაციის ვალდებულება ჩეხეთის კანონმდებლობაში 2018 წლიდან არსებობს, მაგრამ ეს მოწესრიგება მრავალი მიზეზის გამო საკმარისი არ იყო.
- ❖ 2021 წლიდან ევროკავშირის ე.წ. V. AML (ფულის გათეთრებასთან ბრძოლის) დირექტივით დადგენილი მოწესრიგება ბენეფიციარი მესაკუთრეთა რეგისტრაციის შესახებ კანონში No37/2021 Coll. აისახა.
- ❖ კანონით შემოღებულ იქნა საჯაროდ ხელმისაწვდომი ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი.
- ❖ ვინაიდან კანონი მნიშვნელოვნად შეეხო ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, ანდრეი ბაბიშის ინტერესებს, ის მედიაში სათანადოდ გაშუქდა.
- ❖ იმის გათვალისწინებით, რომ კანონი 2021 წლის ივნისის დასაწყისიდან არის ძალაში, ახალი კანონის პრაქტიკულ გავლენებთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანა ნაადრევია.

⁴⁵ აღნიშნული თავი მომზადებულია IDFI-ის პარტნიორი ორგანიზაციის, KohoVolit.eu (ჩეხეთი)-ის მიერ.



შესავალი

ჩეხეთის რესპუბლიკაში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის გზა მტკიცედ არის მიბმული ევროკავშირზე, კონკრეტულად კი ევროკავშირის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ IV და V დირექტივაზე.

ჩეხეთში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციის საკანონმდებლო დონეზე დანერგვა პირველად 2018 წელს მოხდა, რაც 2021 წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

ჩეხეთის რესპუბლიკაში ამ თემის დიდ მნიშვნელობას უსვამს ხაზს ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის, ანდრეი ბაბიშის ხანგრძლივი ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის, Agrofert-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენს.

კანონის პრაქტიკული გავლენის შეფასება ნაადრევია.



კანონმდებლობა

ჩვენთვის კანონმდებლობაში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაცია 2018 წლის პირველი იანვრიდან, იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების საჯარო რეესტრების შესახებ კანონში (No. 304/2013 Coll., § 118b - § 118j.) აისახა.

ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციის შესახებ No. 37/2021 Coll. კანონი ძალაში 2021 წლის პირველ ივნისს შევიდა, სადაც ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მეხუთე დირექტივის - ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 30 მაისის 2018/843 დირექტივა, რომლითაც შესწორებები შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე“ 2015/849 დირექტივაში და 2009/138/EC და 2013/36/EU დირექტივებში - დებულებები აისახა. ცვლილება დირექტივით დადგენილი ვადის გასვლიდან 1 წლის შემდგომ განხორციელდა.

კანონის მიღებას მხარი დაუჭირა პარტიათა უმრავლესობამ, თუმცა, ორი მემარჯვენე პარტიის წარმომადგენელმა პარლამენტის წევრებმა ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს.

ადრინდელი, 2018 წლის მოწესრიგება საკმარისი არ იყო - ბენეფიციარი მესაკუთრის ინსტიტუტი და მისი რეგისტრაცია ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ დირექტივის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. რეგისტრაციის შესახებ კანონით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის რეგისტრაციის შეზღუდული კონცეფცია არ წარმოადგენდა მექანიზმს, რომელიც შენახული მონაცემების ხარისხს უზრუნველყოფდა.

ახალი კანონმდებლობის თანახმად, ბენეფიციარ მესაკუთრეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები, რომლებიც საბოლოო ბენეფიციარები ან საბოლოო ზეგავლენის მქონე პირები არიან.

საბოლოო ბენეფიციარი არის პირი, რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, სხვა პირის ან ტრასტის მეშვეობით, მთლიანი ქონებრივი სარგებლის მნიშვნელოვანი ნაწილს ფლობს, რაც წარმოშობილია იურიდიული პირის ან ტრასტის, როგორც ფუნქციონირების ისე ლიკვიდაციის გზით.

საბოლოო ზეგავლენის მქონე პირი არის ფიზიკური პირი, რომელიც, კორპორაციების შესახებ კანონის შესაბამისად, მაკონტროლებელ პირს წარმოადგენს. კანონი 25%-იან ზღვარს აწესებს როგორც ქონებრივი სარგებლის, მოგების, სხვა პირადი რესურსების ან სალიკვიდაციო ბალანსის წილის ფლობის უფლებით საბოლოო ბენეფიციარის, ისე საბოლოო ზეგავლენის მქონე პირის განსასაზღვრად, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ხმის უფლებებში პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი.

2018 წლის კანონისგან განსხვავებით, 2021 წლის კანონით გატარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ბენეფიციარი მესაკუთრეების მთლიანი რეესტრის გაზრდილი გამჭვირვალობა. 2018 წელს, ორგანიზაციების შესახებ მონაცემები რეესტრში

ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ წინასწარგანსაზღვრული უწყებებისთვის (სასამართლოები, პოლიცია, საგადასახადო ადმინისტრაცია და სხვ.), რომლებსაც რეესტრიდან დარეგისტრირებული ორგანიზაციის მონაცემების შესახებ ამონაწერის მიღება შეეძლო. თუმცა, ახალი კანონის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე რეესტრის ამონაწერის მიღება ახლა ნებისმიერს შეუძლია (თუნდაც ის მხოლოდ ძირითად ინფორმაციას შეიცავდეს).

ამასთან, ახალი კანონი ჯარიმებს ითვალისწინებს ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ მონაცემების რეესტრში შეტანის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან მარეგისტრირებელი პირისთვის ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ მონაცემების რეესტრში შეტანაში დახმარებაზე უარის თქმისთვის. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ჯარიმის მაქსიმალური რაოდენობა 500,000 ჩეხური კრონაა (20,000 ევრო).

რეესტრში ბენეფიციარი მესაკუთრის დაურეგისტრირებლობის შედეგები:

- აღსრულებას არ ექვემდებარება იმ სამართლებრივი აქტიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები, რომელიც ბენეფიციარი მესაკუთრის მქონე პირს შეეხება და რომელიც წარმოიშობა იმ დროს, როცა ბენეფიციარი მესაკუთრე რეესტრში შეყვანილი არ არის;
- კორპორაციას არ შეუძლია გადაუხადოს სარგებლიანი პროცენტი ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომელიც რეესტრში შეყვანილი არ არის ან იურიდიულ პირს ან ორგანიზაციას, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრეცაა ის ან რომელსაც ბენეფიციარი მესაკუთრე რეესტრში შეყვანილი არ ჰყავს;
- კორპორაციის უმაღლესი ორგანოს გადანაცვებების მიღების პროცესში ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომელიც შეყვანილი არ არის რეესტრში ან იურიდიულ პირს ან ორგანიზაციას, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრეცაა ის ან რომელსაც რეესტრში ბენეფიციარი მესაკუთრე შეყვანილი არ ჰყავს, არ შეუძლია გამოიყენოს ხმის უფლება ან მიიღოს გადანაცვებები, როგორც მისმა ერთადერთმა აქციონერმა.

ამ წესების დარღვევამ შეიძლება კანონით განსაზღვრული ორგანოს წევრების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს (მაგ., თუ ისინი მოგების წილს უხდიან ვინმეს, ვისთვისაც გადახდა აკრძალულია ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეგისტრაციის შესახებ კანონით), ან წარმოშვას სხვა პრობლემა, რა დროსაც ზოგიერთი სუბიექტი რეესტრში რეგისტრაციის არარსებობის გამო საერთო კრებაზე ხმის უფლებას დაკარგავს (დროებით).

2021 წლის პირველი ივნისის კანონით დაწესებული ახალი მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყონ იმ ორგანიზაციებმაც, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულება და ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ მონაცემები რეესტრში ძველი კანონმდებლობის შესაბამისად შეიყვანეს - ხშირად ეს შეეხება, მაგალითად, ე.წ. სათადარიგო ბენეფიციარ მესაკუთრეებს. რეესტრში ბენეფიციარი მესაკუთრეების მონაცემების შეყვანის ვალდებულების შეუსრულებლობისას, ვალდებულების მქონე ორგანიზაციები კანონით დაკისრებული ჯარიმებისა და ზემოხსენებული შედეგების რისკის ქვეშ აყენებენ თავს.

ახალი 2021 წლის საკანონმდებლო აქტის მიღების მთავარ საფუძვლებად შემდეგი მიზნები დასახელდა:

- ❖ გამჭვირვალობა
- ❖ ფულის გათვრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა
- ❖ ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქება
- ❖ კანონმდებლობის გამოყენების, სიცხადის და სისტემატური ბუნების უზრუნველყოფა
- ❖ ბიზნეს ვაჭრობაში უტყუარობის უზრუნველყოფა
- ❖ ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა

კრაქოვია

კანონმდებლობის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და გამჭვირვალობის მექანიზმი საჯაროდ ხელმისაწვდომი ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრია, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ქვეშ ფუნქციონირებს: <https://esm.justice.cz/>.

ვინაიდან საბოლოო მესაკუთრეების მითითების ვალდებულება 2021 წლის მოქმედებს, მისი პრაქტიკაში მუშაობის შეფასება ნაადრევია.

ბაბიშის საფე

ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ანდრეი ბაბიში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია ჩეხეთის რესპუბლიკაში. სანამ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონი ძალაში შევიდოდა, ის Agrofert group-ის ერთადერთი მესაკუთრე იყო, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიათა ჯგუფს წარმოადგენს.

წარსულში, კომპანია არ მალავდა იმ ფაქტს, რომ ბაბიში ფირმის ბენეფიციარს წარმოადგენს. თუმცა, პრემიერ-მინისტრი ბაბიში უარყოფს კომპანიაზე რაიმე ზეგავლენის ქონას და მას როგორც მის ყოფილ კომპანიას ისე იხსენიებს.

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ 159/2006 Coll კანონში შესული ცვლილებები:

ამჟამინდელი კანონმდებლობა კომპანიებისთვის, სადაც მინისტრთა კაბინეტის წევრები აქციების (წილების) მეოთხედს მაინც ფლობენ, კრძალავს საჯარო ხელშეკრულების გასაფორმებლად ტენდერებში მონაწილეობას, შემოსავლებისგან დამოუკიდებელი სუბსიდიებისა და საინვესტიციო წახალისების მიღებას. კანონი ასევე მოიცავს ნორმას, რომელიც მინისტრთა კაბინეტის წევრებს მაუწყებლობასა და პერიოდული გამოცემების გამოშვებას უკრძალავს. პრეზიდენტმა ზემანმა კანონს ვეტო დაადო, თუმცა, 2017 წლის იანვარში, 129 ხმით 49-ის წინააღმდეგ, პალატამ პრეზიდენტის ვეტო გადალახა.

ამ ცვლილებების საპასუხოდ, ანდრეი ბაბიშმა საკუთარი კომპანიები სატრასტო ფონდს გადასცა. მან კანონი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით კი შეასრულა, თუმცა, კოლდინგზე გავლენა არ დაუკარგავს.

2018 წლის აგვისტოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა ჩეხეთის რესპუბლიკა ჩერნოშიცეში მუნიციპალურ ხელისუფლებას (ხელისუფლება, რომლის გაფართოებული იურისდიქციის ქვეშაა პრუჰონიცი (Průhonice), ადგილი, სადაც პრემიერ-მინისტრი ცხოვრობს) დაუკავშირდა პრემიერ- მინისტრ ანდრეი ბაბიშის მიერ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის დარღვევის შესახებ არსებულ ეჭვებთან დაკავშირებით, ვინაიდან ის, როგორც საჯარო მოხელე, Agrofert-ის მეშვეობით მედიას ფლობდა.

ანდრეი ბაბიშის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა სენატორი ივო ვალენტაც. ვალენტასთან დაკავშირებით არსებული ინტერესთა კონფლიქტის ეჭვების გამო გამოძიება რომ დაწყებულიყო, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ 2018 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში საჩივარი შეიტანა, რომელიც სენატის მანდატისა და იმუნიტეტის შესახებ კომიტეტმა განიხილა. შედეგად, მარტში კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ვალენტას კანონი არ დაურღვევია, ვინაიდან ის სენატორი ნაკლებად ხისტი კანონმდებლობის არსებობის პირობებში გახდა. თუმცა, თუ ის ახალ მანდატს მოიპოვებს, უფრო მკაცრ წესებს დაექვემდებარება.

2019 წელი: პრემიერ-მინისტრ ანდრეი ბაბიშის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ევროკომისიის მიერ ჩატარებული აუდიტის მიხედვით, ბაბიშთან დაკავშირებით კვლავ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ მან Agrofert სატრასტო ფონდს გადასცა, ის მის საბოლოო მესაკუთრედ რჩება.

2020 წელი: პარლამენტის წევრებმა პარტიებიდან ANO (ბაბიშის პარტია) და Úsvit přímé demokracie და პრეზიდენტმა ზემანმა ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოში დავა წააგეს - სასამართლომ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონში შესული ცვლილებები ძალაში დატოვა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობის მოსაზრებით, კანონი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და პოლიტიკური შეჭიბრის სამართლიანობის უზრუნველყოფის საჯარო ინტერესს ემსახურება. „ეკონომიკურმა ძალაუფლებამ შესაძლოა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაში დიდი როლი შეასრულოს, რაც, სინერგიულად, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკური ძალაუფლების გასაძლიერებლად, მაგალითად, საჯარო ხელშეკრულებების გაფორმების გზით ან შეჭიბრებითობის შეზღუდვით“ აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით იმართება, არჩევნები უნდა გამოხატავდეს სამართლიან შეჭიბრს ამომრჩევლის ნდობის მოსაპოვებლად და არა კონკურენციას სახელმწიფოზე კონტროლის ხელში ჩაგდებისთვის, რომლის მიზანი არჩევნებში გამარჯვებულის მიერ სახელმწიფოს შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენება ან მეტიც, მისი ბოროტად გამოყენებაა. გადაწყვეტილება პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბიზნესი არ არის.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სამართლებრივმა სახელმწიფომ საჯარო თანამდებობის პირებისთვის იმგვარი პირობები უნდა შექმნას, სადაც ისინი მათი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას შეძლებენ და რა პირობებიც, ამავდროულად, მათ მინიჭებული უფლებამოსილებების კერძო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით გამოყენების საშუალებას არ მისცემს. სასამართლომ მიუთითა, რომ არ შეიძლება ქონების ფლობის ან კონკრეტული საქმიანობის განხორციელებიდან გამომდინარე შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო ჩაითვალოს, რომ კანონმდებლობა პირის საჯარო სამსახურში საქმიანობას ხელს უშლის.

2021 წლის გაზაფხულზე, ანტიკორუფციულმა ორგანიზაციამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ აღნიშნა, რომ კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეთა შესახებ გერმანიის რეესტრში ბაბიში კომპანია SKW Stickstoffwerke Piesteritz-ის აქციონერად და დაინტერესებულ მხარედ არის აღრიცხული, რომელიც Agrofert-ის ნაწილს წარმოადგენს. მსგავსად, გაერთიანებულმა სამეფომ ბაბიში გადამწყვეტი გავლენის მქონე პირად დაარეგისტრირა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მანამდე აღნიშნავდა, რომ ბაბიში სლოვაკეთშიც Agrofert-ის სარგებელის საბოლოო მომხმარებლად არის ჩაწერილი.

რეალური მესაკუთრის საკითხი მნიშვნელოვანია სუბსიდიების თვალსაზრისითაც (როგორც ჩეხეთის, ისე ევროკავშირის ბიუჯეტიდან), რომელიც Agrofert-ის და მაშასადამე პრემიერ-მინისტრ ბაბიშის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

2021 წლის ივლისში, ჩეხეთის რესპუბლიკამ პრემიერ-მინისტრის ანდრეი ბაბიშის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ბოლო აუდიტის დოკუმენტის თარგმანი მიიღო. დოკუმენტში კრიტიკა უმეტესწილად ინდუსტრიისა და ვაჭრობის სამინისტროს მიემართებოდა, რომელიც მწარმოება და ინოვაცია კონკურენციისთვის სამოქმედო პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის სუბსიდიებს ანაწილებს ინოვაციური პროექტების ავტორ მწარმოებზე. ისინი თავიანთ თანამდებობის პირებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ ინტერესთა კონფლიქტთან და ტრასტის ორგანიზაციებთან დაკავშირებით კონტროლის გაძლიერება ვერ უზრუნველყვეს.

რეგიონალური განვითარების სამინისტრომ ინტერესთა კონფლიქტის შემოწმების გაუმჯობესების მიზნით გასული წლის ბოლოს მეთოდოლოგიური დასკვნა გამოსცა, რისი გათვალისწინებაც ჩეხეთის ევროკავშირის სუბსიდიებზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის აუცილებელია. თუმცა, როგორც აუდიტორებმა აღნიშნეს, ინდუსტრიის სამინისტროს ის საკუთარ პრაქტიკაში არ დაუწერგავს.

2021 წლის გაზაფხულზე, ევროკომისიამ სტრუქტურული დაფინანსების აუდიტის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც ბაბიშს ინტერესთა კონფლიქტი აქვს და Agrofert-ს სუბსიდიების მიღების უფლება არ აქვს 2017 წლის 9 თებერვლიდან - როცა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ჩეხეთის კანონში შესული ცვლილებები ძალაში შევიდა.

შესაბამისად, ბაბიშის მიერ კონფლიქტის მოგვარებამდე, ევროკომისია არ აპირებს კომპანიისთვის ურთიერთგათანაბრებითი სუბსიდიების გადახდას. პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ფირმა სატრასტო ფონდს გადასცა, კომისიის დასკვნებს უარყოფს.

კომისიის აუდიტი ბაბიშის საკუთრებაში არსებული ჰოლდინგის, Agrofert-ისთვის გაცემულ ევროკავშირის სუბსიდიებს შეეხება. 2017 წელს, ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის გამო, მან თავისი კომპანიის აქციები სატრასტო ფონდს ჩააბარა, მაგრამ ევროკავშირის აუდიტმა დაასკვნა, რომ ბაბიშს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, ვინაიდან ის კომპანიის სახსრებს თანამდებობის პირების დანიშვნით და გადაყენებით აკონტროლებს.

ALZA.CZ-ის საქმე

Alza.cz ჩეხეთის უმსხვილესი ელექტრონული სავაჭრო კომპანიაა და ზოგადად, ჩეხეთში ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპანიას წარმოადგენს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, კომპანიას კვლავ აკონტროლებს მისი დამფუძნებელი ალემ ზავორალი, სავარაუდოდ, მისი ახლო მეგობრის ივო ლუკაჩოვიჩის მცირე ჩართულობით, რომლის საკუთრებაშია კომპანია „სენამი“ (ასევე ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია ჩეხეთის რესპუბლიკაში).

Alza.cz-მა ადვოკატი პაველ სტეინვიხტი, რომელიც რიგ შემთხვევებში დაკავშირებულია Alza-სთან, „არაპირდაპირ ბენეფიციარ მესაკუთრედ“ დაასახელა. კომპანია Alza-ის პრესსამსახურმა თავი გაიმართლა „ახსნა-განმარტებით“, რომ „როგორც ჩანს, ტერმინ ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებით გაუგებრობა არსებობდა“.

კომპანია Alza.cz-ის მესაკუთრეობის საკითხი ახლა მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ ალემ ზავორალი განქორწინების პროცესშია ცოლთან, რომელიც კომპანიის შექმნაში დაეხმარა. ამდენად, Alza.cz-ზე საკუთრების უფლების ქონის საკითხი, სავარაუდოდ, სასამართლოში დასრულდება.



ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა

გამომდინარე იქედან, რომ ეს არის ახალი კანონი და ის სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადად, პრემიერ-მინისტრ ბაბიშსაც შეეხება, ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის ამოქმედება ჩეხეთის რესპუბლიკის მედიაში ფართოდ გაშუქდა.

მისი პირველ კვირებში ფუნქციონირებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მედიისთვის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი ინფორმაციის ერთ-ერთი იმგვარი წყარო იქნება, რომელთანაც ის რეგულარულად იმუშავებს.

იმავეს თქმა შეიძლება არაკომერციულ სექტორზეც.



რეკომენდაციები



სხვადასხვა აქტორებმა (ევროკავშირი, არაკომერციული სექტორი, სხვ.) იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა რეალური მესაკუთრეების დასაფარად გამოიყენება (მაგალითად, კვიპროსი), უნდა მოსთხოვონ, რომ კომპანიების რეესტრებიდან, ინტერნეტის საშუალებით, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, ძირითადი მონაცემების ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყონ.

იუსტიციის სამინისტრომ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ მონაცემები საჯაროდ, ღია მონაცემების სტანდარტების დაცვით, უნდა გახადოს ხელმისაწვდომი.



გამოყენებული ლიტერატურა

- 01 ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/843 დირექტივა: <https://bit.ly/3C4SUjY>
- 02 ფიზიკური და იურიდიული პირების საჯარო რეესტრის შესახებ კანონი No. 304/2013 Coll. კანონი. <https://www.zakonyprolidi.cz/cs/2013-304#f5939442>
- 03 ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეგისტრაციის შესახებ No. 37/2021 Coll. კანონი, <https://www.zakonyprolidi.cz/cs/2021-37>
- 04 ინტერესთა კონფლიქტის შესახებ No. 259/2006 Coll., კანონი. <https://www.zakonyprolidi.cz/cs/2006-159>
- 05 ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატა: საპარლამენტო ბეჭდური გამოცემა 886/0, ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეგისტრაციის შესახებ მთავრობის კანონპროექტი <https://www.psp.cz/sqw/text/tiskt.sqw?O=8&CT=886&CT1=0>
- 06 ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო: ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი: <https://esm.justice.cz/ias/issm/rejstrik>
- 07 Schaffer & Partner: ცვლილებები ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეგისტრაციის შესახებ რეგულაციაში - ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მეხუთე დირექტივის ასახვა <https://bit.ly/30cdwt8>
- 08 Info.cz: ვის ეკუთვნის იმპერია? <https://www.info.cz/zpravodajstvi/byznys/kdo-vlastni-imperium>
- 09 ჩეხეთის ტელევიზია: Agrofert-ის სარგებლის საბოლოო ბენეფიციარი ბაბიშია. კონცერნი მესაკუთრეთა მონაცემთა ბაზაში შეიტანება <https://bit.ly/30fiQw1>
- 10 საკონსტიტუციო სასამართლო: საჯარო თანამდებობის პირების შემზღვეველი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ნორმები უცვლელი რჩება <https://bit.ly/3ohZDSL>



საქართველო

შეჯამება⁴⁶

- ❖ 2018-2020 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე, მაღალი რისკის იურისდიქციებში დაფუძნებული იურიდიული პირების და მათ მიერ საქართველოში დარეგისტრირებული იურიდიული პირების მონაწილეობით განხორციელდა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის კანონმდებლობის თანახმად გათვალისწინებული, ზღვარს ზემოთ დადებული 65000-ზე მეტი გარიგება, და 31 საექვო გარიგება.
- ❖ კვლევებით დასტურდება, რომ უკანასკნელი 2011-2020 წლების განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული კორუფციული რისკების გამო, საქართველომ დაკარგა დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარი. მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) ინფორმაციით, 2011 წლიდან დღემდე განვითარებადმა ქვეყნებმა, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების მონაწილეობით დადებული კორუფციული და უკანონო გარიგებების შედეგად დაკარგეს დაახლოებით 1 ტრილიონი აშშ დოლარი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით, 1980 – 2010 წლებში, ყველაზე უფრო დიდი კორუფციული შემთხვევების 70% უკავშირდება კომპანიებს, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია საჯარო არ იყო. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ოფშორულ ზონებში თავმოყრილია დაახლოებით 11 ტრილიონი აშშ დოლარი, თუმცა დახურული ფინანსური სისტემის გამო, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, დასახელებული კაპიტალის რა მოცულობა არის კანონიერი და რა ნაწილი წარმოადგენს უკანონო გარიგებებიდან მიღებულ ქონებას.
- ❖ საკანონმდებლო ბაზის განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ შესაძლებელია კონკრეტული სფეროების რეგულირების საჭიროების მიხედვით, მოხდეს გადახვევა ბენეფიციარი მესაკუთრის ტრადიციული განმარტებიდან და შესაძლებელია, სფეროებიდან გამომდინარე, შერჩევითი მიდგომა ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის რეგულირებისთვის. მაგალითად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ბენეფიციარი მესაკუთრეების სავალდებულო გამჭვირვალობისათვის წილობრივი მონაწილეობის უფრო ნაკლებ პროცენტულ მაჩვენებელს ანუ უფრო მკაცრ სტანდარტს ითვალისწინებს, ვიდრე ეს არის განსაზღვრული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- ❖ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი თითქმის 30-მდე სახელმწიფოში ფუნქციონირებს მეტნაკლები სახეცვლილებით, მათ შორის პოსტ-საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. შესაბამისად, საქართველომ აუცილებლად მხარი უნდა აუბას საერთაშორისო სიახლეებს, მოახდინოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია; იზრუნოს

⁴⁶ აღნიშნული თავი მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ. ავტორი: დავით მაისურაძე, ღია მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი

FATF-ის რეკომენდაციების გათვალისწინებასა და Moneyval-ის შეფასების ანგარიშში დასახელებული ხარვეზების აღმოფხვრაზე; შეასრულოს 2016 წელს ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე გაკეთებული განცხადების პირობები; გააქტიუროს მუშაობა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამუშაო ჯგუფებში; იმუშაოს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) მიმართულებით; რაც საბოლოოდ დაკავშირებული იქნება ბენეფიციარი მესაკუთრების საჯარო რეესტრის შექმნასთან.

- პირველ რიგში, აუცილებელია გამოიყოს პრიორიტეტული სფეროები, სადაც ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობა სავალდებულო გახდება. კერძოდ, ასეთი სფეროები შესაძლებელია იყოს სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ქონების აუქციონები და მოპოვებითი მრეწველობის სფერო.
- მნიშვნელოვანია შეიქმნას ბენეფიციარი მესაკუთრების ცენტრალური რეესტრი, რითაც, ერთი მხრივ, გაძლიერდება ღიაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი, ხოლო მეორე მხრივ, დაიზოგება, სახელმწიფო უწყებების, მათ შორის ეროვნული ბანკის და კომუნიკაციების კომისიის, ასევე, კომერციული იურიდიული პირების ხარჯები, რადგან იარსებებს ინფორმაციის გადამონმების ალტერნატიული შესაძლებლობა ბენეფიციარი მესაკუთრების საჯარო რეესტრის სახით.



მესაკალი

ბენეფიციარი (საბოლოო) მესაკუთრეების გამჭვირვალობა განსაკუთრებით აქტუალური საკითხია საქართველოსთვის. საზოგადოებამ, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულმა ანგარიშვალდებულმა პირებმა და საზედამხედველო ორგანოებმა უნდა იცოდნენ თუ ვინ დგას კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის უკან. კომერციული იურიდიული პირების მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გაგება ხელს უწყობს კორუფციის პრევენციას, ანგარიშვალდებულების ბრძას და მოქალაქეების უფლებების დაცვას. ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია ისეთი სფეროებისთვის, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვები, მოპოვებითი მრეწველობა და გარიგების მონაწილე მხარეების მიმართ სათანადო წინდახედულების (Due Diligence) განხორციელება.

ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირებისათვის ცალკეულ სახელმწიფოებს, ასევე, სამოქალაქო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სხვადასხვა მეთოდი აქვთ შემოთავაზებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური არის ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრი. წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს საქართველოში ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის კუთხით არსებულ კანონმდებლობას, გამონწვევებსა და საჭიროებებს.

დასაწყისისთვის, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ 2016 წელს ლონდონის ანტიკორუფციული სამიტის მიმდინარეობისას, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება შეესწავლა ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის საჭიროება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი რამდენად შეესწავლა საქართველოს მთავრობამ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ასეთი კვლევა არ განხორციელებულა.⁴⁷ აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის რეესტრის შექმნის შესწავლის საკითხებთან ერთად, საქართველომ დასახელებულ სამიტზე აიღო ისეთი ვალდებულებები როგორცაა.⁴⁸

- ❖ ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება პარტნიორ სახელმწიფოებთან სამართალდამცავ ორგანოებს შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- ❖ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების მესაკუთრეებისა და კონტროლის განმახორციელებელი პირების შესახებ გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ქმედებების განხორციელება;

⁴⁷ საქართველო ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2016, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/ge/georgia-at-london-anti-corruption-summit>>.

⁴⁸ საქართველოს მთავრობის განცხადება ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, 2016, ხელმისაწვდომია: <https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/522706/Georgia.pdf>.

- ❖ უკანონო შემოსავლის, განსაკუთრებით კორუფციულ დანაშაულთან მიმართებაში, ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
- ❖ სხვა სახელმწიფოებთან ერთად ისეთი კომპანიების ღიაობის დანერგვაზე მუშაობა, რომლებიც მუშაობენ ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების მოპოვების სფეროში. აღნიშნული ვალდებულება ხელს უწყობს EITI-სთან ერთად განსახორციელებელ საქმიანობას. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის განცხადებაში მითითებულია, რომ იმუშავენ ღია მმართველობის პარტნიორობისა (OGP) და მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) სამუშაო ჯგუფებთან ერთად, იმისათვის, რომ გაძლიერდეს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მოპოვებით სექტორში.

შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველომ, გარკვეული თვალსაზრისით განახორციელა რიგი ღონისძიებები ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე მიცემული დაპირებების შესასრულებლად. თუმცა, ძირითადი ქმედებები - ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის მიზანშეწონილობის შესწავლა, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობა და მოპოვებით მრეწველობაში ჩართული კომპანიების გამჭვირვალობა არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) უკვე მრავალი წელია, რაც უთითებენ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის აუცილებლობაზე, თუმცა საქართველოს მთავრობა თავს იკავებს აილოს ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის ვალდებულებაზე.

საქართველოს არის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი სახელმწიფო. OGP-ის წევრ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, შექმნილია სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საბჭოები/ფორუმები. აღნიშნული საბჭოს წევრმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა რამდენჯერმე მიმართეს (ე.წ. „ვარსკვლავური ვალდებულების“ სახით) საქართველოს მთავრობას და მის ადმინისტრაციას ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნასთან (ასევე, EITI-ში გაწევრიანებასთან) დაკავშირებით, თუმცა საქართველოს მთავრობა უარს აცხადებს აღნიშნული ვალდებულების აღებასა და განხორციელებაზე.⁴⁹

თავდაპირველად, ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი ფუნქციონირებდა გაერთიანებულ სამეფოში, თუმცა შემდეგ, ღია მმართველობის პარტნიორობის 25-ზე მეტმა ქვეყანამ აიღო ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნის ვალდებულება.⁵⁰ მათ შორის, ასეთი ვალდებულებები აღებული აქვს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორცაა სომხეთი, სლოვაკეთი და ლატვია.⁵¹

⁴⁹ მაგალითისთვის, გთხოვთ, იხილოთ IDFI-ს რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, სადაც, ასევე, აღნიშნულია ვარსკვლავური ვალდებულებების, 2020, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>>.

⁵⁰ Dickson, S., OGP's Approach to Peer Exchange: The Example of Beneficial Ownership, 2021, <<https://www.opengovpartnership.org/stories/ogps-approach-to-peer-exchange-the-example-of-beneficial-ownership/>>.

⁵¹ OGP, Beneficial Ownership, ხელმისაწვდომია: <<https://www.opengovpartnership.org/policy-area/beneficial-ownership/>>.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის IDFI, ასევე, ურჩევენ საქართველოს მთავრობას დაიწყო მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) პრინციპების დანერგვა და განხორციელება. მოპოვებითი მრეწველობა ერთ-ერთი სფეროა, სადაც ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. თუმცა, საქართველოს მთავრობა, მიუხედავად ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე აღებული ვალდებულებისა, პასიურ როლს იჩენს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის პრინციპების დანერგვასთან დაკავშირებით. EITI მხარს უჭერს მომპოვებელ ინდუსტრიაში ჩართული კომპანიების ღიაობას, მათ შორის ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობასთან მიმართებაში.⁵² აღსანიშნავია, რომ სომხეთის შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის ვალდებულება, ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის სახით, უკავშირდება სწორედ მოპოვებით სექტორში წარმოდგენილ კომპანიებს.⁵³

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის დანერგვის თვალსაზრისით ხაზი უნდა გავუსვათ ევროკავშირის როლს და მის სამართლებრივ მექანიზმებს. ევროკავშირი საკუთარი დირექტივების მეშვეობით აქტიურად ცდილობს უზრუნველყოს ნევრ სახელმწიფოებში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა და ფუნქციონირება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2018/843 (Directive (EU) 2018/843 of the European Parliament and of the Council (the 5th Anti-Money Laundering Directive) amending Directive (EU) 2015/849 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, and amending Directives 2009/138/EC and 2013/36/ EU), რომელიც ავალდებულებს ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოებს გადადგან ქმედითი ნაბიჯები ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირების მიმართულებით, მათ შორის გაცვალონ ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი და აქვს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულება, საქართველოს ჯერჯერობით არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიცირებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

საქართველოში, გარიგებებში ხშირად არიან წარმოდგენილი ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიები და მათ მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალები და შვილობილი კომპანიები. აღნიშნული ზრდის საეკვო გარიგებების დადების ალბათობას, რაც შეიძლება ხორციელდებოდეს კორუფციის ან სხვა უკანონო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფინანსური რესურსის გამოყენებით და მიზნად ისახავდეს ფულის გათეთრებას და ტერორიზმის ხელშეწყობას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით, 1980 – 2010 წლებში, ყველაზე უფრო დიდი კორუფციული შემთხვევების 70% უკავშირდება კომპანიებს, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია საჯარო არ იყო.⁵⁴

⁵² Beneficial Ownership, EITI, ხელმისაწვდომია: <<https://eiti.org/beneficial-ownership>>.

⁵³ EITI, Armenia, ხელმისაწვდომია: <<https://www.eiti.am/en/annual-reports/2021/>>.

⁵⁴ OGP, Beneficial Ownership, ხელმისაწვდომია: <<https://www.opengovpartnership.org/policy-area/beneficial-ownership/>>.

სსიპ „ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან“ მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 2018-2020 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის კანონმდებლობის თანახმად გათვალისწინებული ზღვარს ზემოთ დადებული 65,000-ზე მეტი გარიგება, და 31 საეჭვო გარიგება. გარიგებების ორივე დასახელებულ რაოდენობაში ფიგურირებდნენ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში⁵⁵ რეგისტრირებული იურიდიული პირები ან/და მათი ქართული ფილიალები ან/და ისეთი კომპანიები, სადაც დასახელებული იურიდიული პირები ფლობენ 25% ან მეტ პროცენტს. გარიგებები საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება ისეთი ტერიტორიებიდან, როგორცაა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები (დიდი ბრიტანეთი), ბაჰამის კუნძულები, ვანუატუ და სხვა.⁵⁶

წინამდებარე თავის მიზანია, დაინტერესებულ პირებს როგორც კერძო, ასევე, საჯარო და არასამთავრობო უწყებებიდან, შესთავაზოს პრაქტიკული რეკომენდაციები ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის სტანდარტების საქართველოში დასანერგად და განსახორციელებლად. ამავდროულად, დოკუმენტში განხილულია ბენეფიციარი საკუთრების ღიაობის ყველა პოზიტიური ასპექტი და მისი მოსალოდნელი დადებითი შედეგი სამიზნე ჯგუფებზე.

⁵⁵ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N 615 დადგენილება „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე“; გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30/12/2016; სარეგისტრაციო კოდი: 200250000.10.003.019682.

⁵⁶ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წერილი N 01/213 (213-01-2-202110271814), 27/10/2021.



სახელმწიფოს მიმდინარე პოლიტიკა ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვის დროს, აუცილებელია ხაზი გაესვას საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის როლს ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და იდენტიფიცირების თვალსაზრისით. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კანონმდებლობა არეგულირებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სამართლებრივ მექანიზმებს, ითვალისწინებს ბენეფიციარი მესაკუთრის ცნებას და მიუთითებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სფეროში საზედამხებდველო ორგანოების მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

ამავდროულად, უნდა გამოიყოს ორი სფერო, სადაც ბენეფიციარი მესაკუთრები ღიაობა კანონ-მდებლობით არის უზრუნველყოფილი, კერძოდ, სამაუწყებლო სფერო და კომერციული ბანკების საქმიანობა.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ძირითად მიზანს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა წარმოადგენს.⁵⁷ ძირითადი სამართლებრივი აქტი, სადაც რეგულირებულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობა არის საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. აღნიშნული კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ფინანსური მონიტორინგის სამსახური „ანალიზებს ანგარიშვალდებული პირებისგან და სხვა წყაროებიდან მიღებულ ანგარიშგებებსა და სხვა ინფორმაციას (დოკუმენტს) და ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში თავისი ანალიზის შედეგებს უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შემოსავლების სამსახურს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს“. ასევე,⁵⁸ აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ფინანსური მონიტორინგის სამსახური სწავლობს საქართველოში და საზღვარგარეთ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხერხებს და შეიმუშავებს საეჭვო გარიგებების გამოვლენისას საყურადღებო ნიშნებს.⁵⁹

აღნიშნული კანონის მე-13 მუხლი განმარტავს ბენეფიციარი მესაკუთრის ცნებას. კერძოდ, „ბენეფიციარი მესაკუთრეა ფიზიკური პირი, რომელიც არის კლიენტის საბოლოო მფლობელი

⁵⁷ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: <<https://www.fms.gov.ge/geo/page/about>>.

⁵⁸ საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, მუხლი 34.1, მიღების თარიღი: 30/10/2019; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30/10/2019; სარეგისტრაციო კოდი: 080090020.05.001.019627; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 30/03/2021.

⁵⁹ იქვე, მუხლი 34.3.

ან საბოლოო მაკონტროლებელი ან/და რომლის სახელითაც მზადდება, იდება ან სრულდება გარიგება“.⁶⁰ დასახელებული მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, „იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეა ფიზიკური პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ამ იურიდიული პირის წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტს ან 25 პროცენტზე მეტს ან სხვაგვარად ახორციელებს იურიდიულ პირზე საბოლოო კონტროლს. აქციების პირდაპირ ფლობად მიიჩნევა ფიზიკური პირის მიერ სამენარმეო იურიდიული პირის წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტის ან 25 პროცენტზე მეტის ფლობა, ხოლო არაპირდაპირ ფლობად – იმ იურიდიული პირის მიერ, რომელსაც ფიზიკური პირი (პირები) აკონტროლებს (აკონტროლებენ), ან რამდენიმე იურიდიული პირის მიერ, რომლებსაც ერთი და იგივე ფიზიკური პირი (პირები) აკონტროლებს (აკონტროლებენ), სამენარმეო იურიდიული პირის წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტის ან 25 პროცენტზე მეტის ფლობა“.⁶¹ შესაბამისად, კანონი, მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი საკუთრების განსაზღვრისთვის მიუთითებს 25% ან მეტი პროცენტის ფლობაზე იურიდიულ პირში, ითვალისწინებს შესაძლებლობას გვერდი აუაროს წილის მფლობელობის საკითხს და სხვაგვარი კონტროლის განმახორციელებელი ფიზიკური პირიც ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ.

ფინანსური მონიტორინგის სამსახური ფუნქციების განხორციელებისას აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგალითად, აღნიშნული კანონი განსაზღვრავს საზედამხედველო ორგანოების ჩამონათვალს (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური), რომლებიც 34-ე მუხლის თანახმად, ვალდებულები არიან უზრუნველყონ ანგარიშვალდებული პირების (ფინანსური ინსტიტუტები, არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირები, საჯარო დაწესებულებები) მიერ კანონის შესრულების შემოწმება დისტანციურად ან ადგილზე შემოწმების გზით. ასევე, საზედამხედველო ორგანოს შეუძლია შესაბამისი სახელმძღვანელო მითითების შემუშავება. კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზედამხედველო ორგანო ვალდებულია დროულად აცნობოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ანგარიშვალდებული პირის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

ამავდროულად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის საკუთარი მიზნების შესასრულებლად მნიშვნელოვანია ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ამალგება საბოლოო მესაკუთრეების იდენტიფიცირებისა და ფინანსური სახსრების წარმომავლობის დადგენის თვალსაზრისით. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2020 წლის ანგარიშში არ იყო პირდაპირ მითითებული ინფორმაცია ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის საკითხებთან დაკავშირებით.⁶² წინამდებარე დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოში ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის საკითხის გამო-

⁶⁰ იქვე, მუხლი 13.1.

⁶¹ იქვე, მუხლი 13.2. და მუხლი 13.3.

⁶² სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, 2020 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_Annual_Report_2020_28.04.21.pdf>.

საკვლევად გამოყენებულ იქნა Moneyval-ის (ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი ექსპერტების) კომიტეტის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს დამტკიცებული შეფასების ანგარიში⁶³ და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება“.⁶⁴

Moneyval-ის ანგარიშის თანახმად,⁶⁵ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) 24-ე რეკომენდაციასთან (გამჭვირვალობა და ბენეფიციარი საკუთრება იურიდიულ პირებში) მიმართებაში, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას იურიდიულ პირებში ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სახეგვა სხვადასხვა გამოწვევები, რასთან მიმართებაშიც საქართველომ უნდა გააგრძელოს შემდგომი მუშაობა მათი აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, ანგარიშში მითითებულია, რომ იურიდიული პირების შესახებ ზოგადი და ბენეფიციარი საკუთრების მოპოვების გზებია: (1) ფინანსური მონიტორინგისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კანონმდებლობა, მათ შორის კანონქვემდებარე აქტები; (2) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოება, სადაც მითითებულია ინფორმაცია იურიდიული პირების პარტნიორების შესახებ; (3) აქციათა რეესტრის წარმოება იურიდიული პირების მიერ, თუმცა მიუხედავად ამისა:

- შეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ ქართული სამართლებრივი სისტემის სხვადასხვა მახასიათებელი შესაძლებელია გახდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მხრივ მოწყვლადობის საფუძველი, მაგალითად, ვირტუალური სარეგისტრაციო მისამართებისა (ვირტუალური ოფისები) და საშეღავათო საგადასახადო რეჟიმით მოსარგებლე კომპანიების (სპეციალური სავაჭრო კომპანია, საერთაშორისო სავაჭრო კომპანიები და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საწარმოები) არსებობა. ანგარიშში მითითებულია, რომ როგორც წესი ფიქტიური კომპანიების არსებობა წარმოადგენს ფულის გათეთრების რისკს.⁶⁶ თავის მხრივ „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების 2019 წლის ანგარიშის“ თანახმად, „ფულის გათეთრების საქმეებში უმეტესწილად შპს ფიგურირებს, რადგან მისი შექმნა და მართვა მარტივ პროცედურებს უკავშირდება“.⁶⁷

63 იხ. <<https://www.fms.gov.ge/geo/news/133>>.

64 საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, 2019 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.fms.gov.ge/Uploads/files/NRA_Georgia_Geo.pdf>.

65 MONEYVAL (2020)20, Anti-money Laundering and Counter-terrorist Financing Measures, Georgia, Fifth Round Mutual Evaluation Report, ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/moneyval-2020-20-5th-round-mer-georgia/1680a03271>>.

66 იქვე, გვ. 221.

67 „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, 2019 წლის ანგარიში, გვ. 54. ხელმისაწვდომია: <https://www.fms.gov.ge/Uploads/files/NRA_Georgia_Geo.pdf>.

- ის ფაქტი, რომ საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი⁶⁸ არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ საჯარო რეესტრი სრულად ვერ ახდენს კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ასახვას.⁶⁹
- დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ Moneyval-ის ანგარიში, ასევე, მიუთითებს პრობლემებზე საკუთრების მინდობის (ტრასტის) სამართლის ნაწილშიც. „საქართველო არ არის მიერთებული ჰააგის კონვენციას „ტრასტების მიმართ გამოყენებადი სამართლებრივი ნორმების და მათი აღიარების თაობაზე“. კანონმდებლობა საერთო სამართლის ტრასტის (შემდგომ - „ტრასტი“) ან კონტინენტური ევროპის სამართალში მისი ანალოგებისთვის დამახასიათებელ ე.წ. გახლენილი საკუთრების კონცეფციას არ ცნობს“.⁷⁰ ტრასტის სამართლებრივი ურთიერთობის დროს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო რეგულაციები მოქმედებს ადვოკატებსა და ბუღალტრებთან მიმართებაში, რადგან ისინი ვალდებული არიან შეინახონ კლიენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი ინფორმაციის შენახვა არ მოხდება ადვოკატების ან ბუღალტრების მხრიდან, ისინი სანქცირებას არ ექვემდებარებიან.

Moneyval-ის ანგარიში მიუთითებს, რომ გამონვევები არსებობს კომპანიების „ფიქტიურად“ არსებობასთან დაკავშირებით, და ამავდროულად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის არსებობაც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს ფულის გათეთრების თვალსაზრისით. ამ მხრივ გამოსავალი შეიძლება იყოს სავაჭრო კომპანიებისა და საერთაშორისო სავაჭრო კომპანიებისთვის ასეთი სტატუსის გაუქმება იმ შემთხვევაში თუ ისინი რეალურად არ ფუნქციონირებენ.

შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულია სპეციალური სავაჭრო კომპანიების რეესტრი⁷¹ და საერთაშორისო კომპანიების რეესტრი.⁷² ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გადაამოწმა აღნიშნულ რეესტრებში მითითებული თითოეული კომპანიის შესახებ ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების (საჯარო რეესტრის ეროვნული ვებგვერდის მეშვეობით⁷³) იდენტიფიცირებისა და ფინანსური ანგარიშგების (ანგარიშგების პორტალის მეშვეობით⁷⁴) წარდგენის თვალსაზრისით. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლების თანახმად, კომპანიებს, საკუთარი კატეგორიების შესაბამისად, აქვთ ყოველწლიური ანგარიშგების წარდგენის

⁶⁸ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან მიმართებაში მოქმედებს სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფიცია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საწარმოებთან მიმართებაში მითითებული უნდა იყოს საბოლოო მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 7.3., მიღების თარიღი: 28/10/1994; გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994; სარეგისტრაციო კოდი: 240.000.000.05.001.000.087; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.

⁶⁹ MONEYVAL (2020)20, Anti-money Laundering and Counter-terrorist Financing Measures, Georgia, Fifth Round Mutual Evaluation Report, გვ. 225-226, ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/moneyval-2020-20-5th-round-mer-georgia/1680a03271>>.

⁷⁰ „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, 2019 წლის ანგარიში, გვ. 54. ხელმისაწვდომია: https://www.fms.gov.ge/Uploads/files/NRA_Georgia_Geo.pdf.

⁷¹ ხელმისაწვდომია: <<https://rs.ge/CompanyStatus>>.

⁷² ხელმისაწვდომია: <<https://rs.ge/InternationalOrgStatus>>.

⁷³ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: <<https://napr.gov.ge/>>.

⁷⁴ ანგარიშგების პორტალი: <<https://reportal.ge/>>.

ვალდებულება, რომლის წარდგენლობაც შესაძლებელია გახდეს სანქციების საფუძველი დასახელებული კანონის 26-ე მუხლის თანახმად.⁷⁵ ანგარიშების წარდგენა აისახება ანგარიშების პორტალზე. თუ კომპანია აქტიურია, ბუნებრივია ის ცდილობს ასეთი დოკუმენტის მომზადებას და წარდგენას, ხოლო თუ კომპანია ფორმალურად არსებობს, შესაბამისად, ანგარიშების წარდგენასაც არ ახორციელებს.⁷⁶ უფრო კრიტიკულია შემთხვევა, როდესაც კომპანია არსებობს და ფუნქციონირებს, მაგრამ შეგნებულად თავს არიდებს ანგარიშების დოკუმენტის გასაჯაროებას. შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სავაჭრო და საერთაშორისო სავაჭრო კომპანიების გადამოწმების დროს, სწორედ ეს კრიტერიუმი მიიჩნია კომპანიების აქტიურობისა და კეთილსინდისიერების დამადასტურებლად. კომპანიების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ **საერთაშორისო სავაჭრო კომპანიების შემთხვევაში თითქმის 50%-ის, ხოლო სპეციალური სავაჭრო კომპანიების შემთხვევაში საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტის მესაკუთრეები არიან უცხოელები ან/და საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის ოფშორულ ზონებში, დარეგისტრირებული იურიდიული პირები.**

შემოსავლების სამსახურის სპეციალური სავაჭრო კომპანიების რეესტრის თანახმად, სპეციალური სავაჭრო კომპანიების საერთო რაოდენობა შეადგენს 181 კომპანია, საიდანაც 102 კომპანიას არ აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი (აღნიშნულ რიცხვში არ შედის 2021 წელს დარეგისტრირებული კომპანიები, რადგან მათ ჯერ არ აქვთ ანგარიშების წარდგენის ვალდებულება). საერთაშორისო სავაჭრო კომპანიების საერთო რაოდენობა, შემოსავლების სამსახურის რეესტრის თანახმად, შეადგენს 33 კომპანიას, საიდანაც თითქმის ყველა კომპანიას გამოქვეყნებული აქვს ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი.⁷⁷ შესაბამისად, მნიშვნელოვანია არააქტიურ კომპანიებს გაუუქმდეს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი, რაც ამავდროულად, Moneyval-ით გათვალისწინებული შეფასების პრაქტიკაში დანერგვის საშუალებაც იქნება.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი

დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული უწყება ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სამართლებრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით არის საქართველოს ეროვნული ბანკი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, ეროვნულ ბანკს აქვს სრული უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას.⁷⁸ ამავდროულად, დასახელებული მუხლი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ეროვნულ ბანკს დააკისროს

⁷⁵ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“, მიღების თარიღი: 08/06/2016; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 24/06/2016; სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.

⁷⁶ გთხოვთ, ფინანსური ანგარიშების წარდგენისა და სანქციების დამატებით საკითხებთან დაკავშირებით, იხილოთ: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს რეგულირების ზეგავლენის შეფასება“, 2020, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საერთაშორისო და ევროპული ეკონომიკური სამართლის ცენტრი (CIEEL), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F6XBLT>

⁷⁷ კომპანიების რაოდენობა დასახელებულ რეესტრებში დათვლილია 2021 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით.

⁷⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 48; მიღების თარიღი: 24/09/2009; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29, 12/10/2009; სარეგისტრაციო კოდი: 220.010.000.04.001.003.616; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 28/04/2021.

სხვადასხვა სახის სანქცია საფინანსო სექტორის წარმომადგენელს, მათ შორის ფულადი ჭარიმის, რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გაუქმების და ლიცენზიის ჩამორთმევის სახით. აღნიშნული კანონის 49-ე მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია „მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო მესაკუთრეების, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ“.⁷⁹ ამავდროულად, ეროვნულ ბანკს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს „მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) კომერციული ბანკის უშუალო მესაკუთრეებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ და სამართლებრივი აქტით დაუწესოს მათ დამატებითი მოთხოვნები“.⁸⁰ აღნიშნული უფლებამოსილება არ ვრცელდება მხოლოდ კომერციული ბანკების მიმართ, ეროვნულ ბანკს აქვს მსგავსი უფლებამოსილება საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების მიმართაც, კერძოდ, უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია „მნიშვნელოვანი წილის უშუალო მესაკუთრეებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ (მათ შორის, ქონების ან/და ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ)“.⁸¹

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრე არის „პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის⁸² შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ გააჩნია მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი“.⁸³ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების მსურველმა ეროვნულ ბანკს სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა წარუდგინოს შესაფერისობის დეკლარაცია, სადაც მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალოდ მესაკუთრის, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.⁸⁴ ასევე, აღსანიშნავია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის დროს, პირი ან ერთობლივად მოქმედ პირთა ჯგუფი, ვალდებულები არიან წარუდგინონ ეროვნულ ბანკს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით შესაფერისობის დეკლარაცია, სადაც მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილისა და ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.⁸⁵ ამავდროულად, დასახელებული კანონით „კომერციული ბანკი, მის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ეროვნულ ბანკს წლიურ

⁷⁹ იქვე, მუხლი 49.1.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე, მუხლი 48.41.

⁸² იგულისხმება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

⁸³ საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 1.დ). მიღების თარიღი: 23/02/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 003, 23/03/1996; სარეგისტრაციო კოდი: 220.020.000.05.001.000.126; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.

⁸⁴ იქვე, მუხლი 3.2.ვ).

⁸⁵ იქვე, მუხლი 81.1.

ანგარიშთან ერთად წარუდგენს ინფორმაციას მისი წილის 10 პროცენტზე მეტის როგორც უშუალო მესაკუთრის, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ და აღნიშნავს, ადასტურებს თუ არა ამ ინფორმაციის სიზუსტეს.⁸⁶ ასევე, თუ ეროვნული ბანკის შეფასებით, მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ვეღარ აკმაყოფილებს შესაფერისობის კრიტერიუმებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შესაბამის პირს - შეუჩეროს ხმის უფლება და მოსთხოვოს მას, მის საკუთრებაში არსებული წილი 60 დღის ვადაში 10 პროცენტამდე შეამციროს.⁸⁷

აქვე ხაზი უნდა გაესვას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბროკერო კომპანიის, ცენტრალური დეპოზიტარისა და საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობებს. დასახელებული ლიცენზიების მაძიებელი პირები ვალდებული არიან მიმართონ ეროვნულ ბანკს და წარუდგინონ ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ. კერძოდ, დასახელებული კანონის 24-ე მუხლი თანახმად, საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელმა პირმა, საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით, სადაც, ასევე, უნდა მიუთითოს ინფორმაცია საბროკერო კომპანიის იმ ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს.⁸⁸ კანონის 27-ე მუხლის თანახმად, საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობის შემადგენელი ნაწილია საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შესაფერისობის დეკლარაციის წარდგენა, სადაც მითითებული იქნებიან მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეები.⁸⁹ ანალოგიური მოთხოვნა არის გავრცელებული ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობებთან დაკავშირებით დასახელებული კანონის 28-ე მუხლის თანახმად.⁹⁰

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის განსაზღვრისთვის შედარებით მკაცრ მიდგომას ირჩევს და სავალდებულო გამჭვირვალობის სტანდარტს წილის 10%-ზე მეტის ფლობიდან აწესებს. დამატებით, 2021 წლის 23 ივნისს, საქართველოს ეროვნული ბანკის N83/04 ბრძანებით დამტკიცდა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესი“. აღნიშნული წესის მიზანია, ეროვნული ბანკის მიერ დისტანციურად შეფასდეს კომერციულ ბანკში (შემდგომში – ბანკი) არსებული შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და მისი ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღმკვეთ კანონმდებლობასთან, ეროვნული ბანკის მიერ დანესებულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა.

⁸⁶ იქვე, მუხლი 83.1.

⁸⁷ იქვე, მუხლი 84.

⁸⁸ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 24, მიღების თარიღი: 24/12/1998; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1(8), 14/01/1999; სარეგისტრაციო კოდი: 040.170.280.05.001.000.467; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.

⁸⁹ იქვე, მუხლი 27.

⁹⁰ იქვე, მუხლი 28.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი

სახელმწიფოს მიერ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის პოლიტიკიდან ზოგად გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“⁹¹ რომლის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „გ³)“ პუნქტის თანახმად, ოფშორული ზონა წარმოადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელშიც დაცულია იურიდიული პირის საკუთრების, საქმიანობისა და მისი პარტნიორების/აქციონერების კონფიდენციალობა. ამავე კანონის მე-2 მუხლის „გ1)“ პუნქტის თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრე განიმარტება როგორც „პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე მაუწყებლის საქმიანობიდან იღებს ან შეიძლება მიიღოს ფულადი ან სხვა სახის სარგებელი და ამ სარგებლის სხვა პირისათვის გადაცემის ვალდებულება არ აქვს, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი“. შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრედ, რომლის ღიაობის საკითხიც დადგება, შეიძლება ჩაითვალოს როგორც კომერციული, ასევე, არაკომერციული იურიდიული პირი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, ლიცენზიის მაძიებელმა/ ავტორიზაციის მსურველმა პირმა, განცხადებას თან უნდა დაურთოს შესაბამისობის დეკლარაცია, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, მითითებული უნდა იყოს, რომ აღნიშნული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირები. შესაბამისობის დეკლარაციაში, ასევე, მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ ავტორიზაციის მსურველი პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.


უნდა აღინიშნოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი საკმაოდ ფართოდ განმარტავს როგორც ოფშორულ ზონას, ასევე, ბენეფიციარი მესაკუთრის ცნებას, რაც თანხვედრაშია კანონის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან - მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, კანონი ირიბად მიგვითითებს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის არცოდნამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გამჭვირვალობაზე, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობაზე. აღსანიშნავია, რომ კანონი, ასევე, არ აკონკრეტებს ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრის წილის ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის განმარტებაში გამოყენებულია სიტყვები „მნიშვნელოვანი წილი“, აღნიშნულ

⁹¹ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მიღების თარიღი: 23/12/2004; გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: 5, 18/01/2005; სარეგისტრაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 07/09/2021.

სიტყვათა შეთანხმებას მოსდევს „მმართველი ორგანოს წევრი“, რაც მიუთითებს ჩანაწერის მიზანს, რომ ზუსტად განსაზღვროს რეალური უფლებამოსილის მქონე სუბიექტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც წილის მფლობელი, ასევე, მმართველი ორგანოს წევრი. აღსანიშნავია, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, „კონტროლი (მნიშვნელოვანი წილი) – ვითარება, როდესაც პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ხმების 10%-ზე მეტს ფლობს ან მას სხვაგვარად შეუძლია საწარმოს გაკონტროლება“.⁹² შესაბამისად, გამოდის, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ღიაობისთვის მოითხოვება შედარებით მკაცრი სტანდარტი, ვიდრე ეს არის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სადაც ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის საკითხი როგორც წესი 25% წილის ფლობიდან ან სხვაგვარად კონტროლიდან იწყება.⁹³

⁹² საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მიღების თარიღი: 23/12/2004; გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: 5, 18/01/2005; სარეგისტრაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 07/09/2021.

⁹³ Beneficial Ownership Implementation Toolkit, OECD, 2019, გვ. 4, ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/tax/transparency/beneficial-ownership-toolkit.pdf>.



გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტასაც მიზნად ისახავენ ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობის სტანდარტები

ბენეფიციარი მესაკუთრების გამჭვირვალობის სტანდარტების დამკვიდრება ხელს შეუწყობს საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტას, განსაკუთრებით ელიტური კორუფციის შემცირებას,⁹⁴ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთას და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას. არსებობს რამდენიმე სფერო, რომელიც განსაკუთრებით უფრო მონყვლადია კორუფციული სქემებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიმართ.

პოლიტიკურად აქტიური პირების მიერ კომპანიების დაფუძნება ოფშორულ ზონებში

„ფულის გათეთრებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკურად აქტიური პირი არის მნიშვნელოვანი საჯარო ან პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური პირი, მათ შორის სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი, მინისტრი, საკანონმდებლო ორგანოს წევრი და უმაღლესი ინსტანციის მოსამართლე. დასახელებულ პირებს როგორც წესი არ აქვთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელების უფლება, შესაბამისად, ისინი იყენებენ ოფშორულ ზონებს საკუთარი ანონიმურობის შესანარჩუნებლად და ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.

პოლიტიკურად აქტიური პირები იყენებენ ოფშორულ ზონებს კომპანიების დასაფუძნებლად და აღნიშნულ კომპანიებში ინვესტირებული კაპიტალის მეშვეობით ახდენენ ფულის გათეთრებას ან/და ყიდულობენ უძრავ ქონებას, რომელთა მიმართებაშიც შესაძლებელია საგადასახადო-საშეღავათო პირობების გავრცელება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჟურნალისტთა გაერთიანებების მიერ გამოძიებულ იქნა ათეულობით სახელმწიფო ლიდერისა და ბიზნესმენის მიერ, ოფშორულ ზონებში დაფუძნებული კომპანიების მეშვეობით უძრავი ქონების შეძენის ფაქტები. მაგალითად, „პანდორას დოკუმენტების“ ცნობით, იორდანის მეფეს, უკრაინის, კენიის და ეკვადორის პრეზიდენტებს, ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, და 130-ზე მეტ მილიარდერს რუსეთიდან, აშშ-დან და თურქეთიდან აქვთ კავშირი ოფშორულ კომპანიებთან.⁹⁵ შესაბამისად, პირები, რომლებიც უნდა ზრუნავდნენ მაღალი რისკის იურისდიქციების რაოდენობის შემცირებაზე და ფინანსური გამჭვირვალობის ზრდაზე, იყენებენ ტერიტორიებს, სადაც არ არის ღია ბენეფიციარი მესაკუთრების შესახებ ინფორმაცია, და ახორციელებენ კორუფციისა და უკანონო გარიგებების გზით მოპოვებული ფულის ინვესტირებას.

⁹⁴ 150 განსაკუთრებით დიდი კორუფციული შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება საკუთრების დამალვაში, არის კომპანია. FATF, Concealment of Beneficial Ownership, გვ. 25, 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

⁹⁵ ხელმისაწვდომია: <<https://www.icij.org/investigations/pandora-papers/global-investigation-tax-havens-offshore/>>.

პანდორას დოკუმენტების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ 956 კომპანიას დაუდასტურდა კავშირი 336 მაღალი თანამდებობის პირთან. აღსანიშნავია, რომ დასახელებული კომპანიის 2/3 დარეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, რომლის იურისდიქციაც ოფშორული კომპანიების დაფუძნების ძირითად ბაზას წარმოადგენს.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურისგან მიღებული ინფორმაციით, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული იურიდიული პირების ან მათი მონაწილეობით საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირების ჩართულობით, საქართველოში განხორციელდა ზღვარს ზემოთ არსებული გარიგებები, კერძოდ, 2018 წელს 19,442 გარიგება, 2019 წელს 22,958 გარიგება და 2020 წელს 18,774 გარიგება. ასევე, ხაზგასასმელია, რომ 2018-2020 წლებში, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, დაფიქსირდა 31 საეჭვო გარიგება, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ იურიდიული პირები. დასახელებული 31 გარიგებიდან 26 გარიგება განხორციელდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ან მათი მონაწილეობით საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ.

სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ოფშორულ ზონებში თავმოყრილია დაახლოებით 11 ტრილიონი აშშ დოლარი, თუმცა დახურული ფინანსური სისტემის გამო, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, დასახელებული კაპიტალის რა მოცულობა არის კანონიერი და რა ნაწილი წარმოადგენს უკანონო გარიგებებიდან მიღებულ ქონებას.⁹⁶

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, წარმოდგენილია დაახლოებით 3200-მდე კომპანია, რომელთა მთლიანი ან გარკვეული წილის მფლობელია ოფშორში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები ფლობენ საქართველოში სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციებს, მათ შორის - „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“, „რუსთავის ფოლადს“, „ბილაინს“, „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგს“, „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალს“ და სხვა საწარმოებს. 2011-2020 წლებში, ოფშორული ტერიტორიების მქონე ქვეყნებიდან საქართველოში შემოვიდა 5.2. მილიარდ აშშ დოლარამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც ამ პერიოდის მთლიანი უცხოური ინვესტიციების 38%-ს შეადგენს. ასევე, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ 2012-2020 წლებში, ოფშორულ კომპანიებს, როგორც აუქციონის, ასევე, პირდაპირი პრივატიზაციის წესით გადაეცათ სახელმწიფო ქონება.⁹⁷

ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ელიტური კორუფციის პრევენციისთვის და სწორედ ასეთი, პოლიტიკურად აქტიური პირების მხრიდან, ოფშორული ზონებში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით უკანონო ფინანსური სარგებლის მიღების შემცირებისთვის. მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობის ჩეხეთის ფილიალმა, სლოვაკეთის ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის მეშვეობით, 2018 წელს გამოააშკარავა

⁹⁶ ხელმისაწვდომია: <<https://www.icij.org/investigations/pandora-papers/global-investigation-tax-havens-offshore/>>.

⁹⁷ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „ოფშორული კომპანიები საქართველოში: ბიზნეს ინტერესები და კორუფციის რისკები“, 10 ივნისი, 2021, ხელმისაწვდომია: <<https://transparency.ge/ge/blog/opshoruli-kompaniebi-sakartveloshi-biznes-interesebi-da-korupciis-riskebi>>.

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის, ანდრეი ბაბიშის კავშირი კომპანიასთან, რომელიც ევრო-კავშირისგან სუბსიდიების სახით ყოველწლიურად მილიონობით ევროს (ჯამში 75 მილიონი ევრო) იღებდა.⁹⁸

დამატებით, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განამტკიცებს იურიდიული პირის, რომელმაც ჩარიცხა პარტიის ანგარიშზე თანხა, ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობას. კერძოდ, დასახელებული ორგანული კანონის თანახმად უზრუნველყოფილია პარტიის შემოწირულობების ღიაობა და საჯარო ხელმისაწვდომობა. ორგანული კანონის 25-ე მუხლის თანახმად, შემოწირულებად, მათ შორის ითვლება, პარტიის ანგარიშზე იმ იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული თანხა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის პარტნიორები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში რეგისტრირებული ის იურიდიული პირები არიან, რომელთა საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან.⁹⁹ ამავე ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პარტიის შემოწირულებების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვებგვერდის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს პარტიის შემოწირულებების შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა.¹⁰⁰



⁹⁸ Transparency International, Out in the Open: How Public Beneficial Ownership Registries Advance Anti-Corruption. (2021), ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2XFCTCU>>.

⁹⁹ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 25, მიღების თარიღი: 31/10/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997; სარეგისტრაციო კოდი: 010.290.000.05.001.000.283; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 22/06/2021.

¹⁰⁰ იქვე, მუხლი 26.



ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვებისა და სხვა აქტიურ საკითხებთან მიმართებაში

სახელმწიფო შესყიდვები - საჯარო ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრობლემური სფერო სახელმწიფო შესყიდვებია, სადაც გამორჩეულად მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის და ღიაობის უზრუნველყოფა. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ უკანასკნელი 2011-2020 წლების განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული კორუფციული რისკების გამო, საქართველომ დაკარგა დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარი.¹⁰¹ მიუხედავად სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ შესყიდვების მონაწილე კომპანიების შეთავაზებებს შორის კონკურენციისა და სამართლიანობის დაცვა, არამედ აღნიშნული კომპანიების უკან მდგომი პირების იდენტიფიცირება და საჯაროობის უზრუნველყოფა. საქართველოში ხშირია შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურად აქტიური პირები ან/და მათთან კავშირში მყოფი პირები ქმნიან კომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში და იმარჯვებენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი მაგალითები ელიტური კორუფციის ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთ დროს გამჭვირვალობის დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებისა და კორუფციული რისკების პრევენციისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვა საქართველოში. ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა შესაძლებლობას მოგვცემს გამოვააშკარაოთ პოლიტიკურად აქტიური პირები, მათ შორის ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც დგანან სახელმწიფო შესყიდვების სფეროში წარმოდგენილი კომპანიების უკან.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის სახელმწიფო შესყიდვებში ისეთი კომპანიების მონაწილეობა, რომლებიც არიან საქართველოს სახელმწიფოს მიერ სანქცირებული კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. ასეთ კომპანიებს შეუძლიათ ოფშორული ზონების მეშვეობით ახალი კომპანიების დაფუძნება და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღება.

განსაკუთრებით პრობლემურია სახელმწიფო შესყიდვებში და ბიზნეს გარიგებებში კომპანიების მონაწილეობა, რომელთაც აქვთ რეგისტრაციის ადგილი ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც არ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მაგალითად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018-2019-2020 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაიდო ვანუატუში რეგისტრირებული იურიდიული პირების ან/და ასეთი იურიდიული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული კომპანიების მონაწილეობით 16 ზღვარს ზემოთ არსებული გარიგება. ვანუატუსა და საქართველოს შორის

¹⁰¹ ბელმისანვლომია: <https://public.tableau.com/app/profile/gti1940/viz/Corruptioninpublicprocurement/Overviewofcountries>; <http://www.govtransparency.eu/the-imf-anti-corruption-challenge/>; <http://www.govtransparency.eu/wp-content/uploads/2020/10/IMF-policy-brief-200928.pdf>.

გართულებული იყო ურთიერთობა, რადგან გაჟღერდა ინფორმაცია ვანუატუს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ, რომელიც საბოლოოდ ვანუატუმ უარყო.¹⁰²

სანქცირებული კომპანიების ცალკე კატეგორიაა რუსული სანარმოები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის სანქციების ქვეშ მოხვდნენ რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციისა და დონბასში სეპარატისტების მხარდაჭერის გამო. გარდა იმისა, რომ საქართველო არ შეუერთდა დანესებულ სანქციებს, ოფშორული ზონების მეშვეობით, აღნიშნული კომპანიები საქართველოს ტერიტორიაზე ახდნენ ფინანსურ ტრანზაქციებს და ყიდულობენ სანარმოო ობიექტებს.¹⁰³

ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ღიაობა მნიშვნელოვანია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც კრძალავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას.¹⁰⁴ რუსული კომპანია „როსნეფტი“ მრავალი წელია, რაც უკანონოდ საქმიანობს აფხაზეთის ტერიტორიაზე და ფლობს იქ ბენზინგასამართი სადგურების ქსელს. „როსნეფტმა“ 2014 წელს შეიძინა ქართული კომპანიის „პეტროკას ენერჯი ლიმიტედის“ 49%-იანი წილი. ეს უკანასკნელი 2014 წლისთვის ფლობდა ფოთის ნავთობტერმინალებს და „გალფის“ ბენზინგასამართი სადგურების ქსელს საქართველოში. კომპანიის პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ ასახულა მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში. შესაბამისად, გამოითქვა ვარაუდი, რომ საკუთრების წილის მფლობელი შეიცვალა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებში, რომლებიც აკონტროლებენ „პეტროკას ენერჯი ლიმიტედს“. იმ დროისთვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა და ენერჯეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ, განაცხადეს, რომ სახელმწიფო არ ჰქონდა ბერკეტი ხელი შეეშალა გარიგებისთვის, რადგან აღნიშნული განხორციელდა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით.¹⁰⁵ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი არის სწორედ ის ბერკეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობა და ხელი შეუწყოს საქართველოს კანონმდებლობის დაცვას და განხორციელებას, როგორც სახელმწიფო შესყიდვების, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეგულაციების დაცვის თვალსაზრისით.

მოკოვებითი მრეწველობა

მოკოვებითი მრეწველობა განსაკუთრებით პრობლემური სფეროა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი თვალსაზრისით. შექმნილია მრავალი საერთაშორისო გაერთიანება და ინიციატივა როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების, ასევე, მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, რომლებიც ცდილობენ დაიცვან ადგილობრივი მოსახლეობის

¹⁰² დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: < <https://bit.ly/3CjB5Ng>>.

¹⁰³ სანქცირებული რუსული კომპანიები და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, 13 მაისი, 2015, ხელმისაწვდომია: < http://damoukidebloba.ge/c/news/sanqcirebuli_rusuli>.

¹⁰⁴ საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, მუხლი 6.1., მიღების თარიღი: 23/10/2008; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N 28, 30/10/2008; სარეგისტრაციო კოდი: 010.080.000.05.001.003.300; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 15/07/2020.

¹⁰⁵ სანქცირებული რუსული კომპანიები და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, 13 მაისი, 2015, ხელმისაწვდომია: < http://damoukidebloba.ge/c/news/sanqcirebuli_rusuli>.

ინტერესები, გაუფრთხილდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ლანდშაფტს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და გაზარდონ მოპოვებით მრეწველობაში ჩართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა EITI (მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა) და PWYP (გახადე გამჭვირვალე შენი გადასახადები).¹⁰⁶ სამწუხაროდ, მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა,¹⁰⁷ საქართველოს მთავრობა ამ დროისთვის არ გეგმავს EITI-ში განწევრებას. საქართველოდან PWYP-ის წევრები არიან „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და „საერთაშორისო ბიზნეს და ეკონომიკური განვითარების ცენტრი“.¹⁰⁸

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის ინფორმაციით, 2011 წლიდან დღემდე განვითარებადმა ქვეყნებმა კორუფციული და უკანონო გარიგებების შედეგად დაკარგეს დაახლოებით 1 ტრილიონი აშშ დოლარი. აღნიშნულ გარიგებებში ძირითადად გვხვდებიან კომპანიები, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ღია არ არის.¹⁰⁹ მაგალითად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს შემთხვევაში ერთ-ერთი ასეთი კომპანია, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია არ არის გამჭვირვალე, არის „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“. საინტერესოა, რომ სომხეთში მოქმედი ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი ამ ეტაპზე მოიცავს მოპოვებითი მრეწველობის სფეროში ჩართული კომპანიების შესახებ ინფორმაციის ღიაობას.¹¹⁰

ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის გაზრდა მოპოვებითი მრეწველობის სფეროში გაზრდის მომპოვებელი კომპანიების ანგარიშვალდებულებას, შეამცირებს კორუფციის რისკებს და გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სხვა აქტუალური საკითხები

Due diligence - ქართულ სამართლებრივ წყაროებში მოხსენიებულია როგორც სათანადო წინდახედულება¹¹¹ ან ორმაგი გულმოდგინება.¹¹² ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოქალაქეთა უფლებების დაცვის და კორუფციის რისკების

¹⁰⁶ დამატებითი ინფორმაციისთვის, ვთხოვთ, იხილოთ: <<https://www.pwyp.org/about/>>.

¹⁰⁷ IDFI-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლების ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, 2020, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>>.

¹⁰⁸ ხელმისაწვდომია: <https://www.pwyp.org/pwyp_members/georgia/>.

¹⁰⁹ EITI, Beneficial Ownership, ხელმისაწვდომია: <<https://eiti.org/beneficial-ownership>>.

¹¹⁰ დამატებითი ინფორმაციისთვის, ვთხოვთ, იხილოთ: <<https://www.eiti.am/en/annual-reports/2021/>>. ინგლისურენოვან ანგარიშში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია მითითებულია გვ. 70-76.

¹¹¹ მაისურაძე, დ., კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებით სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), გვ. 82-90, 2014, ხელმისაწვდომია: <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/davit_maisuradze.pdf>.

¹¹² მახარობლიშვილი, გ.; კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივი ქმედებათა (შეძენა-შერწყმა) საფუძველზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), გვ. 178-187, 2014, ხელმისაწვდომია: <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/giorgi_maxaroblishvili.pdf>.

შემცირების მიზნებისათვის, არამედ ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობით მიიღწევა ფინანსური რესურსის დაზოგვა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, რომელთათვისაც ხარჯიანი პროცესია გარიგების დადებისას ხელშეკრულების სამართლებრივი და ფინანსური მხარეების სრულად შესწავლა. ხელშემკვრელ კომპანიებში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის ღიაობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობას, შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს შეამცირონ ფინანსური და სამართლებრივი რისკები და დაზოგონ და განსხვავებულად გამოიყენონ ფინანსები.

Covid-19 - უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით გამოჩნდა ღიაობის და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა. პანდემიამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვენახა, რომ არა მხოლოდ განვითარებად, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიც აუცილებელია სახელმწიფო ორგანოების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაზე გამუდმებული ზრუნვა. პანდემიამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვაზე მონაცემთა შეგროვების თვალსაზრისით.¹¹³ პანდემიამ განსაკუთრებით გამოიწვია მთავრობების საქმიანობის ეფექტურობის შეფერხება, რაც საქართველოს მაგალითზე, სხვა საკითხებთან ერთად, აისახა ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის მიუღებლობაში.

პანდემიამ კიდევ ერთხელ ნათელი გახადა ელექტრონული მმართველობის მნიშვნელობა. სახელმწიფო სერვისები, მათ შორის რეესტრებზე და საჯარო ინფორმაციაზე წვდომა, შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი. ასეთი რეესტრის არსებობა და მისი საჯაროობა არის გარანტია, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის წვდომაზე, მსგავსი პანდემიები და სხვა შესაძლო ფორსმაჟორული გარემოებები ზეგავლენას ვერ მოახდენს.

პანდემია და მასთან არსებული უფლებების შეზღუდვა წარმოადგენს განსაკუთრებულ გამოწვევას აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რადგან მყიდვე სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ უძლებენ უფლებების შეზღუდვის დინამიკას. 2020 წელს ევროკომისიამ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის რეკომენდაცია გამოსცა, რომლის თანახმად, პანდემიისგან დაზარალებული ბიზნესის დახმარების სამთავრობო პროგრამებიდან ოფშორებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა დაფინანსება არ უნდა მიიღონ.¹¹⁴ აქედან გამომდინარე, ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.



¹¹³ Open Ownership, Five areas where beneficial ownership transparency is key in addressing Coronavirus, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.openownership.org/news/five-areas-where-beneficial-ownership-transparency-is-key-in-addressing-coronavirus/>.

¹¹⁴ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „ოფშორული კომპანიები საქართველოში: ბიზნეს ინტერესები და კორუფციის რისკები“, 10 ივნისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3odqZJq>



ბენეფიციარი საკუთრების სფეროში არსებული გამომწვევების გადაჭრის გზები

ვალდებულების აღება

ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტის დანერგვისათვის მნიშვნელოვანია თანმიმდევრული და დასაბუთებული პოლიტიკა. ამ მხრივ გამორჩეულად მნიშვნელოვანია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის პოლიტიკის შემუშავება ევროკავშირის, ღია მმართველობის პარტნიორობის და სხვა საერთაშორისო და რეგიონული თანამეგობრობებისა და პლატფორმების ფარგლებში. აღნიშნული ზრდის ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტების დამკვიდრების ხარისხსა და დაინტერესებული პირების მხრიდან მხრიდან მის მიმღებლობას.

დღეისათვის, საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში საქართველოს აქვს შესაძლებლობა, და ამავდროულად, ვალდებულებაც, დანერგოს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობა როგორც ევროკავშირის, ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პერსპექტივიდან გამომდინარე. ამავდროულად, ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის დადებითი მხარეები დასტურდება კორუფციის პრევენციისა და კერძო და საჯარო ანგარიშვალდებულების სისტემის გაძლიერების თვალსაზრისით.

უნწყებათაშორისი თანამშრომლობა

ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის დანერგვისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორებს შორის. ასეთი ვალდებულების დანერგვა როგორც სახელმწიფო, ისე, კერძო დონეზე გამოიწვევს მნიშვნელოვან სამართლებრივ და ფინანსურ ცვლილებებს, შესაბამისად, აუცილებელია მისი განხილვა და მონონება დაინტერესებული ჯგუფების ყველა კატეგორიის მიერ.

უნწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის კარგი მაგალითია საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 2020 წლის 13 თებერვალს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა.¹¹⁵ საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფოს სამივე შტოს წარმომადგენლები - სამინისტროების წარმომადგენლები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე. ამავდროულად, სააკოორდინაციო საბჭოს წევრები სათათბირო ხმის უფლებით არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც საკოორდინაციო საბჭოში გადაწყვეტილების მიღებას შესაძლებელს ხდის

¹¹⁵ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4798598?publication=0>; https://idfi.ge/ge/ogp_coordination_council.

სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები. დებულებით საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. სამწუხაროდ, მიუხედავად დებულებით გათვალისწინებული შესაძლებლობისა, საქართველოს მთავრობის პასიურობის გამო, დასახელებული უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭო აქტიურად ვერ ფუნქციონირებს.¹¹⁶

მიუხედავად პასიურობისა, დასახელებულ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი, რადგან ბევრი დაინტერესებული მხარეა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ცვლილება უნდა შევიდეს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ ბაზაში, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვას.

ღიაობის უზრუნველყოფა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით

მიუხედავად პასიურობისა, დასახელებულ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი, რადგან ბევრი დაინტერესებული მხარეა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ცვლილება უნდა შევიდეს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ ბაზაში, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვას.

ბენეფიციარი საკუთრების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ძირითად ინსტრუმენტად მიჩნეულია ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი, სადაც დარეგისტრირდებიან ოფშორულ ზონებში დაფუძნებული კომპანიები, რომელთა საბოლოო მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია არ არის ღია და წვდომადი.

მსგავსი რეესტრები ფუნქციონირებს 30-მდე სახელმწიფოში, გამორჩეულად აღსანიშნავია ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც ფუნქციონირებს 2016 წლიდან.¹¹⁷ გაერთიანებულ სამეფოში ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტი იწყება კომპანიაში 25% ან მეტი პროცენტის ფლობიდან.¹¹⁸

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სახის რეესტრები ფუნქციონირებს მათ შორის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებშიც, კერძოდ, უკრაინასა¹¹⁹ და სომხეთში.¹²⁰

უკრაინაში ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი წარმოდგენილია იურიდიული პირების რეესტრთან ერთად. ბენეფიციარი არის მესაკუთრე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან აკონტროლებს კომპანიის 25%-ს მაინც.¹²¹

¹¹⁶ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: <https://bit.ly/3wNy4Ex>

¹¹⁷ ხელმისაწვდომია: <<https://find-and-update.company-information.service.gov.uk/>>.

¹¹⁸ მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: „ფარული ბენეფიციარები გამოგონილი ფიგურების მიღმა“, მასურაძე, დ., ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2020, გვ. 21-24.

¹¹⁹ ხელმისაწვდომია: <<https://usr.minjust.gov.ua/content/free-search>>.

¹²⁰ ხელმისაწვდომია: <<https://www.e-register.am/en/>>.

¹²¹ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: Global Forum on Asset Recovery, Ukraine, 2017; Kozlovtsava, 2019; What is Inside Ukrainian Business Register, OSF.

სომხეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მოპოვებით მრეწველობაში ჩართული კომპანიების მიმართ მოქმედებს ბენეფიციარი მესაკუთრეების ღიაობის სტანდარტი. EITI-ში განვრების ვალდებულება სომხეთმა აიღო ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სახით, რომლის განხორციელების შედეგად დაინერგა სავალდებულო ღიაობის კრიტერიუმი მოპოვებით მრეწველობაში ჩართული კომპანიების მიმართ. მოპოვებით მრეწველობაში ჩართული ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ასევე, სომხეთის 2019 წლის მესამე EITI ანგარიშში.¹²² ამავდროულად, სომხეთი აპირებს ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის გამჭვირვალობის არეალის ზრდას და სამაუწყებლო სფეროში არსებული კომპანიების ბენეფიციარებზე დაექვემდებარებიან სავალდებულო გამჭვირვალობის კრიტერიუმს.¹²³

¹²² დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: <<https://www.eiti.am/en/annual-reports/2021/>>. ინგლისურენოვან ანგარიშში ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია მითითებულია გვ. 70-76.

¹²³ Armenia's Progress in Beneficial Ownership, Freedom of Information Center of Armenia, 2021, ხელმისაწვდომია: <<http://www.foi.am/en/news/item/2011/>>.

რეკომენდაციები

განხილული გარემოებები და გამოკვეთილი ტენდენციები შესაძლებელია საფუძვლად დაედოს შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებებს:

-  საქართველოში რიგ სფეროებში გათვალისწინებულია ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტი სამაუწყებლო სფეროში და კომერციული ბანკების საქმიანობა. თუმცა, განხილული გამომწვევებიდან გამომდინარე, ბენეფიციარი მესაკუთრეების სავალდებულო ღიაობის სტანდარტი სფეროების გაზრდას საჭიროებს. ხოლო იმისათვის, რომ ეფექტურად მოხდეს ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის დაცვა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა, **აუცილებელია ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯარო რეესტრის შექმნა**. ბენეფიციარი მესაკუთრეების საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის უმჯობესი იქნება მისი **საჯარო რეესტრის სისტემაში გაერთიანება**, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ, მათ შორის იურიდიული პირების პარტნიორების შესახებ. მნიშვნელოვანი **მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ღია ფორმატში**.
-  იმისათვის, რომ გარკვეულწილად პასუხი გაეცეს Moneyval-ში დასმულ „ფიქტიურობის“ პრობლემას, და ამავდროულად, დაინერგოს სანქციონების კიდევ ერთი ფორმა, რაც დამატებითი მოთხოვნა იქნება კომპანიებისთვის ანგარიშგების დოკუმენტების მომზადებისა და წარდგენის თვალსაზრისით, აუცილებელია ისეთი სავაჭრო და საერთაშორისო სავაჭრო კომპანიებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი წარდგენილი, შესაბამისი სტატუსის გაუქმება (აღნიშნულ ჩამონათვალში არ შედიან კომპანიები, რომლებიც დარეგისტრირდნენ 2021 წელს და დასახელებული სტატუსიც 2021 წელს მოიპოვეს).
-  სასურველი იქნება თუ ხელისუფლება ბენეფიციარი მესაკუთრის ტერმინის განმარტებისთვის იხელმძღვანელებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებით და კომპანიაზე კონტროლისათვის განსაზღვრავს წილის 10% პროცენტზე მეტის (ან შესაძლოა კიდევ უფრო ნაკლები პროცენტული ოდენობის) ფლობას. ეს უფრო მკაცრი მიდგომაა საერთაშორისო სტანდარტებთან და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში. თუმცა, შესაძლებელია ითქვას, რომ უფრო რეალური, რადგან განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, სადაც ხშირად კორპორაციებში თავმოყრილია მცირე აქციონერები, აქციათა არცთუ დიდი წილის ფლობა შესაძლებელია გახდეს კორპორაციის კონტროლის საფუძველი. აქედან გამომდინარე, მომავალში შესაქმნელ ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრში, მესაკუთრეების ღიაობის საკითხი უნდა დადგეს მინიმუმ 10%-ზე მეტი წილის (და არა 25% ან მეტი პროცენტის) ფლობასთან ან სხვაგვარად კონტროლის განხორციელებასთან მიმართებაში.

- ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნამდე, მნიშვნელოვანია სამაუწყებლო და კომერციული ბანკების საქმიანობის სფეროების მსგავსად, ბენეფიციარ მესაკუთრეთა დიალობის სხვა დამატებით სფეროებზე გავრცელება, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებზე, სახელმწიფო ქონების განკარგვაზე და მოპოვებით მრეწველობაში ჩართულ კომპანიებზე. აღნიშნული სფეროები მომეტებული კორუფციული რისკებით გამოირჩევიან.
- პანდემიას თან ახლდა საქართველოს მთავრობის მხრიდან ბევრი დაპირება ეკონომიკის აღდგენასა და ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური სახსრების, განკარგვა მოხდეს გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებმა იცოდნენ, საქართველოს მთავრობის დღის წესრიგის განხორციელებისას, და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ან სახელმწიფო ქონების განკარგვიდან გამომდინარე, რომელი პირები დგანან კონკრეტული კომპანიების უკან.



გამოყენებული ლიტერატურა

- 01 საქართველო ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2016, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/ge/georgia-at-london-anti-corruption-summit>>.
- 02 საქართველოს მთავრობის განცხადება ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე, 2016, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3kv9uU9>>.
- 03 IDFI-ს რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, სადაც, ასევე, აღნიშნულია ვარსკვლავური ვალდებულებებიც, 2020, ხელმისაწვდომია: <<https://idfi.ge/-public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>>.
- 04 Dickson, S., OGP's Approach to Peer Exchange: The Example of Beneficial Ownership, 2021, <<https://bit.ly/30dzk7I>>.
- 05 OGP, Beneficial Ownership, ხელმისაწვდომია: <<https://www.opengovpartnership.org/policy-area/beneficial-ownership/>>.
- 06 Beneficial Ownership, EITI, ხელმისაწვდომია: <<https://eiti.org/beneficial-ownership>>.
- 07 EITI, Armenia, ხელმისაწვდომია: <<https://www.eiti.am/en/annual-reports/2021/>>.
- 08 OGP, Beneficial Ownership, ხელმისაწვდომია: <<https://www.opengovpartnership.org/policy-area/beneficial-ownership/>>.
- 09 გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30/12/2016; სარეგისტრაციო კოდი: 200250000.10.003.019682.
- 10 საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წერილი N 01/213 (213-01-2-202110271814), 27/10/2021. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ: <<https://www.fms.gov.ge/geo/page/about>>.
- 11 საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, მიღების თარიღი: 30/10/2019; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30/10/2019; სარეგისტრაციო კოდი: 080090020.05.001.019627; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 30/03/2021.
- 12 სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, 2020 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_Annual_Report_2020_28.04.21.pdf>.
- 13 საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, 2019 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.fms.gov.ge/Uploads/files/NRA_Georgia_Geo.pdf>.

- 14 MONEYVAL (2020)20, Anti-money Laundering and Counter-terrorist Financing Measures, Georgia, Fifth Round Mutual Evaluation Report, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/moneyval-2020-20-5th-round-mer-georgia/1680a03271>.
- 15 „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, 2019 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.fms.gov.ge/Uploads/files/NRA_Georgia_Geo.pdf.
- 16 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მიღების თარიღი: 28/10/1994; გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994; სარეგისტრაციო კოდი: 240.000.000.05.001.000.087; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/ 2021.
- 17 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: <https://napr.gov.ge/>.
- 18 ანგარიშგების პორტალი: <https://reportal.ge/>.
- 19 საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მიღების თარიღი: 08/06/2016; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 24/06/2016; სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.
- 20 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს რეგულირების ზეგავლენის შეფასება“, 2020, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საერთაშორისო და ევროპული ეკონომიკური სამართლის ცენტრი (CIEEL), ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/61/61007.pdf>.
- 21 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მიღების თარიღი: 24/09/2009; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29, 12/10/2009; სარეგისტრაციო კოდი: 220.010.000.04.001.003.616; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 28/04/2021.
- 22 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მიღების თარიღი: 23/02/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 003, 23/03/1996; სარეგისტრაციო კოდი: 220.020.000.05.001.000.126; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.
- 23 საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მიღების თარიღი: 24/12/1998; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1(8), 14/01/1999; სარეგისტრაციო კოდი: 040.170.280.05.001.000.467; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 02/08/2021.
- 24 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მიღების თარიღი: 23/12/2004; გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5, 18/01/2005; სარეგისტრაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 07/09/2021.
- 25 Beneficial Ownership Implementation Toolkit, OECD, 2019, ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/tax/transparency/beneficial-ownership-toolkit.pdf>.
- 26 150 განსაკუთრებით დიდი კორუფციული შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება საკუთრების დამალვაში, არის კომპანია. FATF, Concealment of Beneficial Ownership, 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/FATF-Egmont-Concealment-beneficial-ownership.pdf>.

- 27 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „ოფშორული კომპანიები საქართველოში: ბიზნეს ინტერესები და კორუფციის რისკები“, 10 ივნისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wEn24h>.
- 28 Transparency International, Out in the Open: How Public Beneficial Ownership Registries Advance Anti-Corruption. (2021), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XFCTCU>.
- 29 საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მიღების თარიღი: 31/10/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997; სარეგისტრაციო კოდი: 010.290.000.05.001.000.283; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 22/06/2021.
- 30 სანქცირებული რუსული კომპანიები და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, 13 მაისი, 2015, ხელმისაწვდომია: http://damoukidebloba.ge/c/news/sanqcirebuli_rusuli.
- 31 საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, მიღების თარიღი: 23/10/2008; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N 28, 30/10/2008; სარეგისტრაციო კოდი: 010.080.000.05.001.003.300; კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 15/07/2020.
- 32 სანქცირებული რუსული კომპანიები და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, 13 მაისი, 2015, ხელმისაწვდომია: http://damoukidebloba.ge/c/news/sanqcirebuli_rusuli.
- 33 IDFI-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლების ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმისთვის, 2020, ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/public/upload/OGP/IDFI%20OGP%20Commitments-gov-geo.pdf>.
- 34 EITI, Beneficial Ownership, ხელმისაწვდომია: <https://eiti.org/beneficial-ownership>.
- 35 მაისურაძე, დ., კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას (შედარებითსამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), 2014, ხელმისაწვდომია: http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/davit_maisuradze.pdf.
- 36 მახარობლიშვილი, გ.; კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივი ქმედებათა (შეძენა-შერწყმა) საფუძველზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2014, ხელმისაწვდომია: http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/giorgi_maxaroblishvili.pdf.
- 37 Open Ownership, Five areas where beneficial ownership transparency is key in addressing Coronavirus, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.openownership.org/news/five-areas-where-beneficial-ownership-transparency-is-key-in-addressing-coronavirus/>
- 38 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „ოფშორული კომპანიები საქართველოში: ბიზნეს ინტერესები და კორუფციის რისკები“, 10 ივნისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kqfCf>
- 39 მაისურაძე, დ., ფარული ბენეფიციარები გამოგონილი ფიგურების მიღმა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2020, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/the_concealed_beneficiaries_behind_fictional_characters.

- 40 ხელმისაწვდომია: <<https://usr.minjust.gov.ua/content/free-search>>.
ხელმისაწვდომია: <<https://www.e-register.am/en/>>.
- 41 Global Forum on Asset Recovery, Ukraine, 2017; Kozlovtsseva, 2019; What is Inside Ukrainian Business Register, OSF.
- 42 Armenia's Progress in Beneficial Ownership, Freedom of Information Center of Armenia, 2021, ხელმისაწვდომია: <<http://www.foi.am/en/news/item/2011/>>.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



თ. შავჩინკოს ქ. 20



+995 32 2 921514



INFO@IDFI.GE



WWW.IDFI.GE